# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა პატიოსნებზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 22 ოქტომბერი, 2013 წელი.

№202 (7329)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# გინდ მაღლა იდექ, გინდ – დაბლა...



**რამდენიმე შტრიხი პრეზიდენტობის მოსურნე დავით ბაქრაძისა და ბნაცმოძრაობის პორტრეტისთვის**

**თქვენმა მეულლემ რაღაც ორიოდ კვირაში ათი ათას ლარზე მეტი დახარჯა მავანმავანებთან ტელეფონით საუბარში და ეს ფული ბიუჯეტმა გადაიხადა?**

2

# სააკაშვილი პოლიტიკური გვამია, პროკურატურას მასთან ბევრი კითხვა აქვს



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა უარყო გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ქვეყნის მართვას კულისებიდან გააგრძელებს. ამის შესახებ საქართველოს პრემიერმა „ფრანს პრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

– სააკაშვილი პოლიტიკური გვამია. მას აღარასდროს ექნება პოლიტიკური კარიერა საქართველოში. ჩემი აზრით, სააკაშვილს ბევრი შეკითხვისთვის აქვს პასუხი გასაცემი და სწორედ ამიტომ არსებობს დიდი ალბათობა, რომ ის დაიკითხება.

მისივე თქმით, პროკურორები გადაწყვეტილებას გამოძიებაზე დაყრდნობით მიიღებენ და ეს არ იქნება პოლიტიკურად მოტივირებული.

ფრანგულ სააგენტოსთან საუბრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებიდან მალე დატოვებს თანამდებობას.

– ინაუგურაციიდან ერთ კვირაში გადავდგები და პრემიერ-მინისტრის პოსტს 24 ნოემბრამდე დავტოვებ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, გიორგი მარგველაშვილი პირველივე რაუნდში გაიმარჯვებს.

პრემიერ-მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ არავის აქვს უფლება, შეაფერხოს საქართველოს მთავარი სტრატეგია – ევროპასა და ევროატლანტიკურ ალიანსში.

# წინა ხელისუფლების „მანქანომანია“, ანუ 110 ათასი ევრო ერთ მანქანაში

6

# გიჟი საყდარში შეუშვი, საკურთხეველს დაგიმტვრევსო





3

# კეზერაშვილი მის მიერვე ქონებაჩამორთმეულ ბიზნესმენს უჩივის

6

# 14 ათასი მაჰმადიანი მესხი საქართველოში დაბრუნების მოლოდინშია

8

# გოგა ქვანია: გიორგი ბარამიძე ზურაბ ქვანიას მკვლელობის გაფორმებაში მონაწილეობდა



9

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

## ◎ თანსინადეფსიანები

უწინარესად და უმთავრესად მკითხველს ვუხდი ბოდიშს ერთი ჩემი ახლობლის საყვარელი შედარების გამოყენებისთვის. — ქალი რომ ერთხელ აპლაკავს ფეხებს, მერე კი ამას პროფესიად გაიხდის და არაფრის არ შერცხვება, ზუსტად ისეა ამისი საქმეო, — იტყვის ხოლმე იგი რაიმე უკეთურობის ან ვისიმე უმსგავსობის შეფასებისას.

დიახ, მკითხველს ვუბოდიშებ, თორემ ამ შედარების ამჟამინდელ ადრესატებთან მოსაბოდიშებელი არც არაფერი მაქვს. თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, ჯერ ერთი, ისინი ამას თავიანთი მისამართით ნათქვამად არც მიიჩნევენ, ხოლო, თუ როგორმე დარწმუნდნენ, რომ სწორედ მათზეა ლაპარაკი, იმ ანდაზის პერსონაჟივით მოიქცევიან, ვისაც აფურთხებდნენ (კვლავ ბოდიში მკითხველთან!), ის კი გახარებული იძახდა, ვიშ, რა ჟუჟუნა წვიმა მოდისო!

სწორად მიმიხვდით, მკითხველო, დიახაც რომ, განაცმოძრაობასა და იმ განაცმოძელებზეა საუბარი, სხვა უამრავ უკეთურობასთან ერთად ურცხვი ტყუილი და ამით ხალხის დაბოლება (ან ამისი გამუდმებული მცდელობა მაინც) რომ გაუხდიათ საქმიანობის ძირითად სფეროდ.

ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამჯერად ერთზეღა შევჩერდები — პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის ერთ-ერთი სატელევიზიო სარეკლამო რგოლის „წყალშეუვალ“ მტკიცებაზე, რომლის მიხედვითაც, იგი თურმე „მუდამ პარტიულ ინტერესებზე მაღლა იდგა.“...

ანუ თურმე, თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, ის ხალხისა და ქვეყნის ინტერესების დასაცავად თავის პარტიასაც კი გადაუვლიდა „კატოკივით“.

ისემც ცხვირი დაუმშვენდეთ მასაც და ამ რეკლამის შემკვეთ-ავტორებსაც!

თუ ეს მართლა ასე იყო, მან, თანამდებობრივად მეორე კაცმა, მოსაჩვენებლად კი არა, მთელი პრინციპულობით ერთხელ მაინც რად არ აღიმაღლა ხმა იმ, რბილად რომ ვთქვათ, უამრავი უზნეობა-უკეთურობის წინააღმდეგ, რასაც ნაციონალური კი არა, უფრო მეტად (მისი ქმედებების გათვალისწინებით, ცხადია), ნაცისტური მოძრაობის მესვეურნი სჩადიოდნენ?

ამის დამადასტურებელ მაგალითებსა და მტკიცებულებებს მომთხოვთ, განაცმოძელნო?

კი, ბატონო, უამრავის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ იქნებ მხოლოდ 2011 წლის 26 მაისის ღამეს ჩადენილი თქვენი „გმირობით“ დაკმაყოფილდეთ და არ დამჭირდეს თუნდაც იმის მომდევნო წელს „ცოცხოსანთა“ ვაჟკაცობის შეხსენება? ან იქნებ...

თუმცა, კმარა! ერთბაშად არ შეგრცხვეთ და არ გაწითლდეთ!

ამიტომაც ისევ იმას, „მუდამ პარტიულ ინტერესებზე მაღლა მდგომ“ კაცს დავუბრუნდეთ, სად იყო იგი მაშინ?

ახლა რომ სიტყვის მასალად ამბობს, შეცდომები გვქონდაო, პარლამენტის თავმჯდომარეობისას ერთხელ მაინც რად არ თქვა ამის თაობაზე რამე მთელი სიმკაცრით და არ იზრუნა მათი გამოსწორებისათვის?..

ასე თუ ისე, ორი ვარიანტია: რახან არ აპროტესტებს და ეთანხმება თავისი სარეკლამო რგოლის აღნიშნულ „დებულებას“, ესე იგი, იგი ტყუის, რომ პარტიულ ინტერესებზე მაღლა დგას, ანაც, სწორედაც რომ, მუდამ ამ ინტერესებს ემონებოდა, ყოველთვის უპრინციპო და კონფორმისტი იყო და არის.

უფრო კონკრეტულად კი იგი მუდამ ერთ-ერთი მთავარი თანსინადეფსიანი იყო!

ახლა კიდევ ერთი მომენტი ხალხისა და ქვეყნის ინტერესთა სასარგებლოდ პარტიული ინტერესების განირვისთვის მუდამ მზადმყოფ ამ კაცთან დაკავშირებით.

17 ოქტომბერს, მოგეხსენებათ,

# გინდ მაღლა იდექ, გინდ — დაბლა...

### რამდენიმე შტრიხი პრეზიდენტობის მოსურნე დავით ბაქრაძისა და განაცმოძრაობის პორტრეტისთვის






საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პრეზიდენტობის ოთხი კანდიდატი (მათ შორის „მუდამ პარტიულ ინტერესებზე მაღლა მდგომიც“ იყო) დებატებზე მიიწვია. მეორე დღეს მანქანაში რადიოთი მოვისმინე ამ უკანასკნელის პასუხი ერთ კითხვაზე: „ჩვიდმეტი წელია, პოლიტიკაში ვარ და, საბედნიეროდ, ასეთი დისკომფორტის (ლაპარაკი იყო ერთი პოლიტიკოსისთვის მრავალ ასეულათასიანი სახელმწიფო ქონების ერთ ლარად გადაცემაზე — რ. რ.) გრძნობის განცდა არ მქონიაო“.

აფერუმ თქვენს „პატიოსნება-თავშეკავება-სისპეტაკეს“, „მაღლა მდგომო!“

მაგრამ თქვენი ეს შესანატრი თვისებები თქვენსავ ოჯახის წევრებზე არ ვრცელდება თუ ვერაფრით ვერ მოახერხეთ, რომ მათზეც გავრცელებულიყო?

მხედველობაში მაქვს თუნდაც ის ფაქტი, რომ ეგვიპტეში დასასვენებლად ჩასულმა თქვენმა მეუღლემ რაღაც ორიოდ კვირაში ათი ათას ლარზე მეტი დახარჯა მავან-მავანებთან ტელეფონით საუბარში (თუ ეს საუბარია, გაუთავებელი ლაქლაქი რას ჰქვია, არ ვიცი!) და ეს ფული ბიუჯეტმა გადაიხადა?

გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, „მაღლა მდგომო“, როდესაც ეს ფაქტი და ამის დამადასტურებელი ქვითარი ჯერ ინტერნეტით გავრცელდა, მერე კი გაზეთებმაც დაბეჭდეს, „დისკომფორტის გრძნობის განცდა“ არ გაგჩენიათ? (ისე, პრეზიდენტობის მაძიებელო „უდიდესი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსო“, როგორც ერთ სარეკლამო რგოლში გიწოდებენ (არც ამის გამო გიგრძვნიათ დისკომფორტი?!), თუ გახსოვთ, ამ რამდენიმე წლის წინათ რისთვის გადაირჩიეს გერმანიის პრეზიდენტი?).

ან ჯერ კიდევ თქვენი თავმჯდომარეობისას პარლამენტის ძველი შენობის სხდომათა დარბაზი, კაბინეტები თუ სხვა სათავსოები რომ დაანგრიეს, დაჩეხეს და ინვენტარიც დაიტაცეს, თქვენი პარტიული ბოსების (ღმერთო, კორექტურისგან დამიცავი!) კაპრიზსურვილისამებრ, ამანაც არ გაგიჩინათ „დისკომფორტის გრძნობის განცდა“ თქვენ, „მუდამ პარტიის ინტერესებზე მაღლა მდგომო“?

თუმცა, მართლაც, გინდ მაღლა იდექ, გინდ — დაბლა, ქვეგამხედვარი თუკი ხარ!

თქვენ წიგნიერი კაცი ხართ, „მაღლა მდგომო“, და გეცოდინებათ, ქვეგამხედვარი რასაც ნიშნავს. იმათ კი, ვინც არ იცის, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით“ შეუძლიათ ამის გაგება.

როგორ ფიქრობთ, დამეთანხმებიან?

...როდესაც ამ წერილს ვწერდი, „მაღლა მდგომის“ კიდევ ერთ რეკლამას მოვკარი თვალი ტელეეკრანზე. გვპირდებოდა, თქვენთან ერთად გავაკონტროლებ მთავრობას, რომ მან დანაპირები შეასრულოს, სამუშაო ადგილები და ღირსეული ცხოვრების პირობები შეგიქმნათო.

მოვკარი და, იმ სიმღერისა არ იყოს, „დაუკითხავად გულში შემოდის ფარული სევდაო“, დაუკითხავად შემომიცოცდა არამკითხე კითხვაც: როდესაც თანამდებობრივად მეორე კაცი იყავით, „მაღლა მდგომო“, და მაღალთან ერთად მართავდით ქვეყანას (თუ ბუტაფორიაღა იყავით და არაფერს გეკითხებოდათ(?), მაშინ ვინ გიშლიდათ ხელს ამის გაკეთებაში? იმდენი ფულის შოვნის საშუალება მაინც მოგეცათ ჩვენთვის ჩვენივე შრომით, რომ თუნდაც ის დანა-ჩანგალი შეგვეძინა, რომელი დანა-ჩანგლითაც ჩვენი ოჯახებისა და ქვეყნის დაცვისკენ მოგვიწოდებდით გორში მიწის ცხვირით მთხრელი „ვაჟკაცი მთავარსარდლისა“ და ხელისუფლების მიერ მიტოვებულ ხალხს?

თუ რაო, მართლაც თქმა იოლია, ქმნა კი ძნელი?..

სალაპარაკო კიდევ ბევრია, მაგრამ არ ღირს, რადგან ყველამ ყველაფერი ისედაც კარგად იცის და თავის პოზიციას კარსმომდგარ არჩევნებზე გამოხატავს. ამიტომაც დიდებული შოთა ნიშნიანიძის ერთი სტროფის პერიფრაზირებით მოვრჩები სათქმელს.

ჰე, განაცმოძელნო, გეშინოდეთ,
მაღლა ღმერთია,
უსამართლობას არ შეგინდობთ
კეთილი მწყემსი,
თქვენთვის სიკეთე-სიავის ქმნა
რაკი ერთია,
სწორედ იმადაც შეგეყარათ
თან-სი-ნა-დეფ-სი!

თანსინადეფსი, ანუ, თუ ამ ჩემეულ აბრევიატურას გავშიფრავთ, — თანდაყოლილი სინდის-ნამუსის დეფიციტის სინდრომი.

სამწუხაროდ, ეს ძალიან მძიმე, ფაქტობრივად განუკურნებელი სენია და მეეჭვება, მისგან თავის დაღწევაში კვლავაც სიცრუეთა დეკლარირება-ტირაჟირება ან, თუნდაც, თქვენი პარტიის „რებრენდინგი“ დაგეხმაროთ, რაც პრაქტიკულად იმითღა გამოიხატა, რომ თქვენს დროშაზე ჯვრების ნაცვლად გულები მიახატეთ!

ამის ხსენებაზე, თქვენ ჯვარი გწერიათ (ოღონდ, დამსახურებისამებრ), თქვენგან კი — ჯვარი აძაურობას.

რუსლან რუსია

## ◎ კაკალ გულში

### წერტილოვანი ფრაზები

● ამას წინათ ლიფტში ვნახე წარწერა:
— აქ ნუ მოშარდავთ და ხმა მიეცით ბაქრაძეს...

● „ანდუყაფარო,
ლიპარიტო, —
დარნო მთათანო,
ბაგრატოვანთა ბანოვანის ტანო-ტატანო,
ბიჭო სესეო,
თოთიკაანთ ქალო მელანო...“
მოდით, წავიდეთ, მომავალ კვირას არჩევნებზე და, ვინძლო, ერთხელ მაინც გავაკეთოთ ხეირიანი არჩევანი!

● ერთსაც პესებზე ვიტყვი ძილის წინ. ახლა ამოვიკითხე ერთ საინტერესო წერილში და




იმდენად, რამდენადაც ფაქტად მენიშნა, გაგიზიარებთ თქვენც.

საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში თუ ჩავიხედავთ, მე-4 თავში, „გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება“, 54-ე გვერდზე წავიკითხავთ: „სეისმურობის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, დიდი ჰესებისა და ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის აკრძალვა“. გავიღიმო ზრდილობის გულისათვის თუ რა ვქნა?

● სოციალური ქსელი საქართველოში ხელმოცარული ადამიანებისათვის ბოღმის, ბოროტებისა და შხამის გადმონთხევის ასპარეზია. სხვა მაგალითებს რომ არ მივმართო, გასული კვირაც საკმარისია: ჯერ იყო მინისტრი ქალბატონების სექსზე მოიფხანეს ენა. მერე მაია ფანჯიკიძე პარიზის კაფეში ყავას რომ მიირთმევს, ეს სტანდარტული ფოტოები გამოფინეს და დაარქვეს „პარიზული ვოიაჟი“. გულისამრევი ისაა, რომ ეს იყო ფარულად გადაღებული ფოტოების სერია. მეორე — არ მესმის, ყავის დალევა, ან მალაზიაში შესვლა როდიდანაა დანაშაული. პარალელურად, გაებუტნენ ლევან თედიაშვილს და აფურთხეს იმის გამო, რატომ არ ჰყოფნის და სად მიაქვს 3000 ლარი... ახლა უხარიათ, რომ გია ჯაჯანიძე თავს იკლავდა... ისეთი ჟრიამულია, ჩიტებს გადაუჯოკრეს. ე, მორალისტებო, სარკეში ჩაიხედეთ. ვიდრე დაიძინებთ, 5 წუთით მაინც დაფიქრდით, როგორი მურიანია თქვენი გული. ნუ გამომეხმაურებით ისინი, რომლებსაც ეს კომენტარი არ ეხება, თორემ ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

## ◎ ინფორმაცია

### ლაშა ბრეგვაძის წინააღმდეგ საჩივარს 565 პატიმარი აწერს ხელს

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულმა გიორგი გაბედავამ პროკურატურაში 565 პატიმრის სახელით 2 საჩივარი შეიტანა.

ერთ საჩივარს ხელს აწერს 454 პატიმარი ქსნის №16 დაწესებულებიდან, ხოლო მეორეს — 120 პატიმარი რუსთავის №17 დაწესებულებიდან.

გაბედავას თქმით, ეს საჩივრები მიმართულია რუსთავის №17 დაწესებულების ყოფილი უფროსის ლაშა ბრეგვაძის წინააღმდეგ და მასში პატიმრები ითხოვენ პროკურატურამ გამოიძიოს ლაშა ბრეგვაძის მიერ ნაცემი პატიმრების საქმეები. გაბედავას თქმით, საჩივარზე თითოეული ხელმომწერი აცხადებს, რომ იგი ნაცემი იყო ლაშა ბრეგვაძისაგან და რატომღაც პროკურატურა აღნიშნული პირის მიმართ საქმეების გამოძიებას არ აწარმოებს.

გიორგი გაბედავას თქმით, პატიმრები აცხადებენ, მათი საჩივრით გამოხატული პროტესტი იმ ფაქტმაც გამოიწვია, რომ ბოლო პერიოდში, ლაშა ბრეგვაძის ცემის ფაქტზე რამდენიმე ახალგაზრდა დააკავეს.

### საიდუმლო საწყობი ბოლნისში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ბოლნისში კიდევ ერთ საიდუმლო საწყობს მიაგნო.

სამინისტროს ინფორმაციით, საწყობში ინახებოდა დევნილებისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც მათ წლების წინ უნდა მოეღოთ.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მსგავს საწყობს ცოტა ხნის წინაც მიაკვლია.

ინტერპრესი

# გიჟი საყდარში შეუშვი, საკურთხეველს დაგიმტვრევსო

ახლა სწორედ იმ ზღვარზეა მისული საქმე, მესტვირულ ლექსში რომ არის – „აბანოში გამოჩნდება, არსენ, შენი ვაჟკაცობა".

აბანო უკვე გახურებულია და 23 არსენაც შიშველ-ტიტველი ჩარიგებულა ქვის ტახტებზე თავიანთი საარჩევნო ნომრების მიხედვით და მექისეს ელოდება.

ყველანი ღელავენ და თავს იმხნევებენ, ისინიც კი, რომლებსაც გამარჯვების არავითარი შანსი არც აქვთ და არც თავიდანვე ჰქონიათ, უბრალოდ, თავის ჭიას ახარებენ...

და აი, წვანან ახლა ცხელი წყლის პირველი დათქრიალების მოლოდინში, გახევებული ტუჩებით წყალობას სთხოვენ უფალს და სამაგიეროდ ჰეკატომბას აღუთქვამენ.

ღმერთმა კი რა ქნას, ერთბაშად ამდენ მათხოვარს როგორ გადააფაროს კალთა. ჰოდა, „სედმოი პერვი" აბანოს საერთოდ არიდებს თვალს, მოხდეს, რაც მოსახდენიაო.

მოსახდენი კი ის არის, რომ ოცდასამიდან ოცდაორი უნდა დაიკოდოს.

მათ შორის მორალური თვალსაზრისით ყველაზე მძიმე დღეში №41 – გია მარგველაშვილია, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, პრეზიდენტობა უკვე ჯიბეში უდევს, რადგან ზურგში ისეთი მასტოდონტი აწვება, როგორიც ოცნებელთა პრიმასი ბიძინა ივანიშვილია. ოღონდ მკაცრად არის გაფრთხილებული: ეს მაინც საქართველოა, სადაც 100 პროცენტით დაზღვეული არასოდეს არ ხარ, ღმერთმა არ ქნას, ოღონდ თუ მეორე ტური გახდა საჭირო, იმ იწილბიწილო პროცესში მონაწილეობა აღარ მიიღოო. საერთოდ კი, ხმების 60 პროცენტზე ნაკლები ცოცხალი თავით არ მოიტანო, ჩვენთვის ეს სწორედ თავის მოჭრა იქნებაო.

მარგველაშვილს იმ კაი ნაპატივები თავის მოჭრა ნამდვილად არ უნდა, არც თავისი და არც მასტოდონტის. რაც შეეძლო და როგორც შეეძლო, გააკეთა და ბოლო ფსონს მამაღმერთზე ჩამოდის.

ბატონ ბიძინა ივანიშვილს დიდი იმედი აქვს, რომ წლეულს ისეთი არჩევნები ჩატარდება, როგორიც აქამდე არ ჩატარებულა ორ ზღვას შუა.

ეს იქნება ევროპული არჩევნები!

ამრიგად, სანამ ევროკავშირს და ნატოს ამაოდ ვაწყდებით, ევროპული არჩევნებით მაინც ჩავიკოკლოზინებთ ყელს

გაუმარჯოს გაუყალბებელ, უკარუსელო, უმკვდარსულოსიებიან, უწივილ-კივილო ევროპულ არჩევნებს.

არც ახლა დაიჯერებთ, .რომ ამ თუ არა იმ საუკუნეში მაინც ევროკავშირშიც შევალთ და ნატოშიც?

ეს ყველაფერი ციდან არ ჩამოცვენილა.

ბეჭდური პრესისა და რადიოსადგურების მთავარ რედაქტორებთან შეხვედრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ამ არჩევნებისა და ნაცების გადამკიდე ორი წელიწადია ჩემი თავისთვის ავადმყოფობის უფლება არ მიმიციაო (დაახლოებით ისე, სიმონა დოლიძე რომ აკრიმაჭულებს, ვოო, ოცი წელი შემისრულდა არ მიძინია ლოგინზეო).

და ამ დროს აფხაზეთის რადიოს ჟურნალისტმა ლაშა ბერულავამ მთელი სერიოზულობით მიახალა, შენ თუ კარგი კაცი ხარ, ერთი მოგვახსენე, ამ 30 წლის წინათ საფრანგეთში რა კავშირი გქონდა მადმუაზელ ინგა პავლოვასთანო. დამალვა არ გამოგივა, არქივის მასალებით ვიცით ყველაფერიო (ისე, წარმოიდგინეთ, ამ „მიამიტი" კითხვის უკან რამდენი კაცის (იქნებ სულაც მთელი პარტიის!) შრომა ძევს – საფრანგეთის არქივში დამისამართებულად შესვლა და 30 წლის წინანდელი ამბების ქექვა თქვი!..).

პრემიერმა, რომელიც ამ, მანამდე მუდოსავით მჯდარი ახალგაზრდისგან სავარაუდოდ აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხზე ელოდა შეკითხვას, მწარე ღიმილით იმის თქმაღა მოახერხა, ეთიკას მოუხმე თუ კაცი გქვიაო.

ეს პასაჟი იმის დასტურად დამჭირდა, რომ დღეს, გუშინდელისგან განსხვავებით, მედია უაღრესად თავისუფალია. იმდენად, რომ თუ შუბლის ძარღვს გაიწყვეტ, შეგიძლია ქვეყნის ხელმძღვანელს ენა პირში ჩაუგდო – ჯეელობაში მეზობლის ქალი თუ დაგსიზმრებია შიშველიო (თუ იუარა, დაემუქრები კიდეც, შესაბამისი ვიდეოკადრები გვაქვსო).

შეხვედრის მონაწილეებმა ბოლომდე ვერ შევიტყვეთ, ვინ ბრძანდებოდა დასახელებული ქალბატონი, მაგრამ შემკითხველის „ჩამჭრელი", გაფაციცებული ინტონაციით ვივარაუდეთ, რომ სამი ათეული წლის წინათ, 25-26 წლის ჭაბუკ ბიძინა ივანიშვილს პარიზში, რაიმე 007-ური ურთიერთობა არ ექნებოდა, უფრო ამურულია სავარაუდო, როგორიც ამ ასაკის მილიონობით ყმაწვილს ჰქონია პარიზშიც, მოსკოვშიც, სოჭშიც, თბილისში და იმედია, მომავალშიც ექნება, თუ დასავლეთიდან შემოჭრილმა ლგბტ მყრალმა ქარმა არ დაუზრო ახალგაზრდებს სამამაკაცო ძარღვები და არ ჩაუქრო ლიბიდო.



ლაშა ბერულავა

რა უნდა გაგიკვირდეს: ამ დღეებში თბილისში მუდმივ სამუშაოდ ჩამოვიდა აშშ-ის კონსული მისტერ პატრიკ უინგეითი ქმარ-შვილთან ერთად. ამ ცნობაში საოცარი და საძრახისი რა იქნებოდა, ერთი ნიუანსი რომ არა: ის ქმარშვილიანი კონსული თვითონაც... ყურებზე ულვაშგადაწყობილი ყაძახია.

მართლაც რას ემსახურებოდა ის თავისუფალმედიური შეკითხვა, რა მიზანს ისახავდა, რას ელოდნენ – პრემიერი ხელებს წამოჭარხალებულ სახეზე აიფარებდა და მაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამო, წაისლუკუნებდა?

ძალაუნებურად ასეთი ამბავი გამახსენდა: სტალინს მოახსენეს, ფრონტის სარდალი, ახალგაზრდა, წარმოსადეგი არმიის გენერალი ჩერნიახოვსკი უსაშველო მექალთანეა, უამრავი საყვარელი ჰყავს და რა ვიღონოთო. სტალინს ჩაუცინია, ერთადერთი გზა გვრჩება, უნდა შევნატროთო.

კაცს, რომელიც, ფაქტობრივად, მარტოდმარტო შეება და დაამარცხა ამერიკული კვერცხიდან გამოჩეკილი მონსტრი – ნაცპარტია ყბადაღებული დემაგოგით სათავეში, რომლის მძუნაობაც სახელმწიფოს რანგში იყო აყვანილი და რომლის მიერ დაკბენილი და დაკაწრული ოდალისკები საზოგადოების მუდმივი განსასჯელია, ასეთ კითხვებს არ უნდა კადრებდნენ.

მაგრამ ჩვენი პრესა თავისუფალია! ისევე, როგორც გიჟი თავისუფალია. აქ პარადოქსული ვითარება იქმნება.

პრესა თავისუფალი იყო ნაცების დროსაც. განა იმიტომ, რომ დაწერილის გამო ყურს არ გიწევდნენ, გიწევდნენ კი არა, სულაც გაგლეჯდნენ, მაგრამ „თავისუფლება" იმით გამოიხატებოდა, რომ საყოველთაოდ მოქმედებდა „წერე და იკითხეს" მზაკვრული პრინციპი.

კაციშვილი პასუხს არ გაღირსებდა, სრული, შეუვალი იგნორირებით ჩაგაგდებინებდნენ ენას მუცელში.

თავისუფლების ასეთი გამოვლინება საბოლოოდ ჯერაც არ აღმოფხვრილა. ისევ მოისმენთ ყურმილში უწყებათა პრესსამსახურების მუშაკი გოგონების (სხვა საერთოდ არც გიყადრებს თავს) სიგარეტის წევით გაბზარული წიკვინა ხმები, რომელთა პატრონებს ამ ქვეყნად ყავაზე მკითხაობისა და ჭორაობის მეტი არაფერი აინტერესებთ, მით უფრო შენი ნაცოდვილარის წაკითხვა.

და მაინც დღეს პრესის თავისუფლებამ ახალი ხარისხი შეიძინა – ყველაფრის ნებადართულობა და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან და ტელეეკრანებიდან იდვრემა ლაზღანდარობა, სკამრები, სიმინძურე.



მოხშირდა აგდებულ-„ძვლემიჭური" ღადაობა ულარესად ფაქიზ, ულრესად მოსარიდებელ ეროვნულ ღირებულებებზეც კი.

იმ დღეს „ახალ თაობაში" მწერლისა და დრამატურგის, რატომღაც ერთობ პოპულარული ლაშა ბუღაძის სწორედ ასეთი ღადაური წაკითხვა: „მაქებარი მაგინებელზე მეტად სახიფათოა".

აი, რას წერს ეს კაცი:

„პუტინის რუსეთი აქამდე მხოლოდ აუტანელი იყო, ახლა კი შეუტენელიც გახდა. ზოგადად აუტანლობას კონკრეტული შეუტენლობა დაემატა... ერთი მხრივ, უნდათ რომ შევეტენოთ, მეორე მხრივ ვერ გვიტენიან... როცა ვლანძღავდით, შეურაცხყოფას არ გვაყენებდნენ, ახლა კი, როცა თითქმის აღარ ვლანძღავთ, შეურაცხყოფის კასკადი მოდის მათგან. რა არის ეს? შეტენვა აბნევთ? ვინ-ვინ და პუტინმა შესანიშნავად იცის, რომ როგორც არ უნდა ვეტენებოდეთ, ქართველები არასოდეს დავუვიწყებთ 2008 წელს – ოდესმე შეიძლება თვით ბ-ნი ხუბუტიაც კი გატყდეს და ოდნავ შეზარხოშებულმა, პუტინს სუპში ჩაუგდოს მოწამლული ბაყაყი"...

გაიგეთ რამე?..

აი, ამგვარ სტილში ასრულებს კალმის ოსტატი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თანამედროვე ასპექტებს – ესაა მთელი მისი ნააზრევი ამ საჭირბოროტო თემაზე.

ასეთივე აგდებულ-თავგასულად ბაზრობს ბატონი ლაშა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსკოვში ამასწინანდელ ვიზიტზე.

პატრიარქს კეწლავს, რომ მან პუტინთან შეხვედრისას „ვიზიტის საზეიმო კონტექსტის მიუხედავად", რუსეთის პრეზიდენტს არაფერი უთხრა დიცსა და დვანში ღობის გავლებასთან დაკავშირებით. თურმე ეს უნდა ექნა „არა იმდენად რუსეთის პრეზიდენტის „უხერხულ მდგომარეობაში ჩასაგდებად (ჰო, ესეც ვიცით, არ ჩავარდებოდა, მაგრამ მაინც!), არამედ უფრო ჩვენთვის, ღობის აქეთ მყოფთათვის!"

ვიზიტის კონკრეტული შედეგები ასეთი ყოფილა: „დაისვა, მაგალითად, მეფეთა ძვლების წამოღების საკითხი... ჰო, ძვლები გვინდოდა, აბა რა! ამ ძვლების გარეშე გამორიცხულია, გავბრწყინდეთ! რაღა უნდა იყოს ახლა ამაზე მთავარი და მნიშვნელოვანი! მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ისინი ძვლებსაც არ მოგვცემენ ან თუ მოგვცემენ, ალბათ, სხვების ძვლებს. მიდი მერე და არკვიე. მომიტევეთ და ვერ ვხვდები რა საჭირო იყო ამხელა დელეგაციის წასვლა (თან გადამხდელის ფულით) ჩვენი საწყალი მეფეების ძვლებზე სალაპარაკოდ?.. „ვლადიკა, პერედაიტე, პოჟაილუსტა კოსწი... ვოტ ზდეს"... ასლან აბაშიძესთან შეხვედრის დროსაც (ყელში გაჩხერილი) ძვლებზე იყო საუბარი... ძვლები და ძვლები... ისე კი, კრემლიდან სხვას რას წამოიღებ?"

ლაშა ბუღაძის ძვალთამებრძოლობას ანალოგები ჰყავდნენ, ოღონდ ეს რომ ენით ათრევს და აუპატიურებს ძვლებს, ისინი ფიზიკურად იქმდნენ ამას. 1920-იანი წლების კომკავშირელებმა არაბებთან ბრძოლაში დაღუპული არგვეთის მთავრების, ძმების წმინდა დავით და კონსტანტინე ჩხეიძეების საყდარში დასვენებული ძვლები გადმოყარეს და ქუთაისის ქუჩებში ათრიეს.

იმხელა წერილში ძვალთმებრძოლმა ისიც კი არ თქვა, ვის ძვლებს ათრევდა ასე უპატიურად. ამიტომ მკითხველს ვატყობინებ, რომ ლაპარაკია ასტრახანში დაკრძალული მეფე-პოეტების ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ს ნეშტების გადმოსვენებაზე, რის შესახებაც კარგა ხანია მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩრდილოელ მეზობელთან.

ასე ლაზღანდარობს ამ დელიკატურ საკითხზე ჩვენი ახალგაზრდა მწერალი, რომელიც საერთოდ შემჩნეულია ქართული ისტორიისა და წინაპრების მიმართ აგდებულ, შეურაცხმყოფელ, ზიზღიან დამოკიდებულებაში. წმინდა თამარ მეფის შეურაცხყოფა რომ შერჩა, სულ თავს გავიდა. ეს კაცი მართლაც იმსახურებს პაკისტანურ სასჯელს, სახალხოდ რომ ასიოდ როზგი უცხუნონ, ერთადერთი პირობით, რომ შემდგომ, სანამ რამეს იტყვის (დაწერს) კბილებში კარგად გაცრას სათქმელი, როგორც ვეშაპი ცრის პლანქტონს გადაყლაპვამდე.

გიჟი თავისუფალია, მაგრამ, როცა გიჟს საყდარში შეუშვებ, საკურთხეველს დაგიმტვრევს.

**ალეკო ასლანიშვილი**

ალიან-ჩალიანი

## სტიქიამ აჭარასა და სვანეთს შეუტია

დასავლეთ საქართველოში ჭარბი ნალექისა და ძლიერი ქარის გამო რამდენიმე საგზაო მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა მცირე დროით შეფერხდა. როგორც „საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან იტყობიებიან, სენაკი-ფოთი-სარფის ს/გზის კმ118-კმ119 მონაკვეთზე – სარფის ტერიტორიაზე, ძლიერი შტორმის შედეგად, დაზიანდა ნაპირსამაგრი ნაგებობისა და მიწის ვაკისის რამდენიმე უბანი.

ზღვის ტალღებმა წაილო გზის შემოფარგვლის ბეტონის პარაპეტები, გამორეცხა მიწის ვაკისი და გზის დამცავი ქვაყრილი, ასევე გზის სავალ ნაწილზე გამოიტანა ინერტული მასალა.

დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურების მიერ ადგილზე მობილიზებული იყო შესაბამისი საგზაო ტექნიკა და გზის გაწმენდითი სამუშაოები მოძრაობის აკრძალვის გარეშე განხორციელდა. უამინდობის გამო შეფერხებები იყო გოდერძის უღელტეხილზეც, სადაც ძლიერი თოვისა და ქარბუქის გამო, მგზავრთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, 20 ოქტომბერს ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურები გაწმენდით სამუშაოებს მთელი დღის განმავლობაში ატარებდნენ. გაწმენდითი სამუშაოებისა და ამინდის გაუმჯობესების ფონზე, გოდერძის უღელტეხილზე გზა გახსნილია. უხვი ნალექის შედეგად, მცირე ხნით შეფერხებული იყო ავტოტრანსპორტის მოძრაობა ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის ს/გზის 73 კმ-ზე. აღნიშნულ მონაკვეთზე კოკისპირული წვიმის შემდეგ, გზის სავალ ნაწილზე დიდი მოცულობის კლდოვანი მასა ჩამოიშალა და ავტოტრანსპორტის მოძრაობა რამდენიმე საათით შეაფერხა. გზის სავალი ნაწილი საგზაო სამსახურის მიერ მობილიზებულმა მძიმე ტექნიკამ გაწმინდა. ამჟამად აღნიშნულ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

**ინტერპრესი**

№202. სამშაბათი, 22 ოქტომბერი, 2013 წელი.

# გვეშველება რამე?

## სახელმწიფოს მართვა და ცხოვრების დონე



ახლა დავუშვათ უფრო სასურველი ვარიანტი, როცა პარლამენტში არც მთლად ხელიდან წასული ადამიანები ხვდებიან და, როცა პარლამენტიც, არა ერთი და ორი, არამედ 4-5 პარტიის წარმომადგენლებისგანაა დაკომპლექტებული, რომლებიც, ბუნებრივია, მოსახლეობის უფრო ფართო ფენების შეხედულებების და მისწრაფებების გამომხატველი იქნება. ამაზე უკეთესი, თითქოსდა, რა უნდა იყოს, თითქოსდა, აქეთკენ მივისწრაფით და ასეთი პარლამენტი გვსურს, მივიღოთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით (ეჭვი არ მეპარება, იგი გაზაფხულისთვის გაიმართება, თუ მანამდე რაიმე უსაშველო არ დაგვმართეს საქართველოზე მაფიქრალმა „მამულიშვილებმა“ და „მეგობრებმა“!).

**ხაზი უნდა გაესვას ერთ ძალიან მნიშვნელოვან გარემოებას. განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის დეპუტატებს აუცილებლად განსხვავებული პოზიცია ექნებათ საშინაო თუ საგარეო საკითხებზე, ადვილი შესაძლებელია, ყოველი მათგანი სავსებით გულწრფელიც იყოს თავისი პოზიციის დაცვის დროს და მის მიერ დასახელებული კურსი მიაჩნდეს სახელმწიფოს კრიტიკული სიტუაციიდან გამოყვანის ერთადერთ სწორ კურსად. ყველა პარტია, ფრაქცია თუ დამოუკიდებელი დეპუტატი შეეცდება თავისი სიმართლის გატანას, რაც, პრაქტიკულად(!), ლაყბობას დაემსგავსება და არა ცნობილ გამოთქმას – „კამათში იბადება ჭეშმარიტება“. ეს ნამდვილად ასე მოხდება, რადგანაც არაფრით არ შეიძლება განსხვავებულ იდეოლოგიებზე აღზრდილმა ადამიანებმა, რომელთა ნაწილი დასავლეთისკენ იქაჩება, ნაწილი კი – ჩრდილოეთისკენ თუ სხვა მიმართულებით, ნაწილი სამხედრო ბლოკებში და ომებში მონაწილეობის მომხრეა, ნაწილი კი – ნეიტრალიტეტის, ნაწილი ყველაფრის გაყიდვის მომხრეა, ნაწილი კი – სახელმწიფო საკუთრების აღდგენის (სტრატეგიულ ობიექტებზე) და უფასო სწავლა-განათლება-ჯანდაცვის, ნაწილი პედერასტებს უჭერს მხარს და ნაწილი კი – ძირძველ ტრადიციებს, ნაწილი მართლმადიდებლობას ებრძვის, ნაწილი კი – მას იცავს, ნაწილი გლობალიზაციის და გალიბერასტების მომხრეა, ნაწილი კი ეროვნულობის შენარჩუნების, ყველამ ერთი მიმართულებით გასწიოს სახელმწიფოს მართვის მძიმე უღელი, 100%–იანი ალბათობით მივიღებთ „Лебедь, рак да щука“-ს ვარიანტს, როცა, ვიმეორებ, ყველა გულწრფელი შეიძლება იყოს გარკვეული მიმართულებით გაქაჩვაში.** კრილოვის „გმირებიც“ ხომ შეგნებულად არ იწევენ სხვადასხვა მხარეს! განსხვავებით მათგან, პარლამენტში შეგნებულადაც ხდება სხვადასხვა მხარეს გადახრა და ურთიერთშეთანხმებაც კი, რასაც ძალიან ხშირად ურთიერთგარიგება უფრო შეეფერება და, რასაც, სხვანაირად, „მომიტეხავ, ჭადს, მოგიტეხავ ყველს“ ჰქვია! და იწყება პორტფელების, სავარძლების ანუ მაღალი თანამდებობების (და არცთუ მაღალის) გადანაწილება, და ამის პარალელურად, კანონთა კრებულში და სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიულ გეგმაში ისეთი აბსურდული ჩანაწერების და შესწორებების შეტანა, რომ ძნელად თუ იტყვის ვინმე რისკენ მივისწრაფვით, საით მივდივართ. აქედან გამომდინარე, **ძნელია დიდი იმედების დამყარება ახალ, ვადამდე ასარჩევ პარლამენტზეც, მაგრამ ეს, ცხადია, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელი ჩავიქნიოთ და არ შევეცადოთ პარლამენტის დაკომპლექტებას უფრო უკეთესი, უფრო ეროვნული თვითშეგნების მატარებელი ხალხით. გამორიცხულია, რომ ამჟამინდელ პარლამენტზე უარესი მივიღოთ, ყველანაირი გათვლებით, ხალხის განწყობიდან გამომდინარე, იგი ბევრად უკეთესი იქნება.**

სახელმწიფოს მართვა რომ უმთავრესია, ამიტომაც არ იშურებს ამერიკა ფულს ათასობით არასამთავრობო ორგანიზაციის უხვად დასაფინანსებლად განვითარებად ქვეყნებში, რუსეთის ჩათვლით; ამიტომაც ჰყავს მას მათ წიაღში გამოზრდილები ეშელონებად გამზადებული ხელისუფლების ხელში ასაღებად იმ დროისთვის, თუ არსებულს, მის მიერვე დასმულს, რაიმე დაემუქრება (როგორც ჩვენთან მოხდა ხალხის დასაბმელი არჩევნების გზით, როცა დამნაშავე „ნაცები“ შეცვალეს. ხალხს კი ერთი-ორი საკენკი გადმოგვიგდეს პატიმრების გამოშვებით და თვალის ასახვევი პროცესების წამოწყებით.

თითქოს ახალს არაფერს არ ვამბობ, თითქოს ყველამ ვიცით ვინ ვინ არის, მაგრამ მაშინ აბა, რატომ უჭერს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მხარს ბოკერია-დარჩიაშვილ-იაკობაშვილ-ლევან რამიშვილის მეგობარს, იმავე წიაღში გამოზრდილ გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტობაზე?! როგორ ავხსნათ ეს? მხოლოდ იმით, რომ იგი ივანიშვილმა წამოაყენა? თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მარგველაშვილის უმაღლეს სასწავლებელს – „ჯიპას“, ამერიკა აფინანსებდა, მის კანდიდატურას მარტო ივანიშვილი არ უნდა უჭერდეს მხარს! ასე სხვისი ხათრით შერჩეული პარლამენტი რა ხვითოც. გამოდგა ხომ ვნახეთ და ახლა, პრეზიდენტის არჩევანშიც იგივე შეცდომა გავიმეოროთ? ალბათ, მარგველაშვილის მხარდამჭერები ამას ახსნიან ისევე, როგორც თავად მარგველაშვილმა ახსნა – ისინი ჩემი დიდი ხნის მეგობრები არიან და განსხვავებული შეხედულებების გამო მე ვერ ვიტყვი უარს მეგობრობაზეო. ახსნა, თითქოს, მისაღებია, მეგობრობა შეხედულებებზე მაღლა უნდა დავაყენოთ, მაგრამ ყოველთვის, ყველა შემთხვევაში?

მეც მყავს განსხვავებული შეხედულების, ანუ მიშისტი მეგობრები; როგორც სკოლის დროინდელი, ისე – ინსტიტუტის (ერთი პენსიონერია, მეორე – კათედრის გამგე), ანუ ჩვენი მეგობრობა რამდენიმე ათეულ წელიწადს ითვლის, და ვერც ერთი მათგანი ციხის კადრების (!) შემდეგაც ჩემს რელსებზე ვერ გადმოვიყვანე, რასაც, გასაგებია, არც მთლად მეგობრული საუბარი მოყვებოდა ჩვენს შორის. დარწმუნებული ვარ, ჩემსავით ბევრია, ვისაც თავის სამეგობროში ან, თუნდაც, ოჯახში თითო-ოროლა მიშისტი არ ჰყავს, მაგრამ უმეტესობა ძველ მეგობრობას ვუფრთხილდებით, ცხარე კამათი რამდენიმე დღიანი ან კვირიანი „გაბუტვით“ მთავრდება და შემდგომი შეხვედრების დროს ყველანი ვცდილობთ, თავი შევიკავოთ მწვავე თემებზე საუბრისგან. ეს სულ სხვა მოვლენაა და ასეთი მეგობრობის შედარება მარგველასა და ბოკერია-დარჩიაშვილ-იაკობაშვილ-რამიშვილის მეგობრობასთან არაფრით არ შეიძლება. არ შეიძლება განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანი და მასთან მეგობრობა გვერდიგვერდ დავაყენოთ განსხვავებული, დანაშაულებრივი ქმედებების ჩამდენ ადამიანთან და მასთან მეგობრობასთან. პრეზიდენტობის კანდიდატის ოთხივე მეგობარი კი იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც ხელისუფლებაში იყვნენ ან უშუალოდ მხარში ედგნენ სააკაშვილს და, რომლებიც არჩევნების გაყალბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ, „ნაცების“ იდეოლოგიას აყალიბებდნენ და ქვეყანაში გამეფებულ სახელმწიფო ტერორს ამართლებდნენ (ვინ იცის, კიდევ რამდენი ანალოგიური „უმწიკვლო“ ბიოგრაფიის მქონე მეგობარი ჰყავს პრეზიდენტობის კანდიდატს!). დამეთანხმებით, ამას არ ჰქვია განსხვავებული აზრის ქონა. ამისთანა ხალხთან მეგობრობის გაგრძელებას „ბილწთან ზავის შეკვრა“ ჰქვია ანუ, სხვანაირად, – „რა ვიცით, როდის დავჭირდებით ერთმანეთს“. ამისთანა მეგობრებს, ამერიკამ რომც არ დაავალოს, ხომ ისედაც ექნებათ „კოჰაბიტაცია“! ნუთუ ვინმეს სჯერა, რომ გაპრეზიდენტებული მარგველაშვილი ამ კვარტეტის მსგავს ადამიანებს პასუხს მოსთხოვს ჩადენილი დანაშაულობებისთვის? მგლების კვარტეტი – სააკაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილ-ახალაია ვერ გაგვისამართლებია და ამისთანა „ცხვარივით“ ადამიანებს, თანაც, პრეზიდენტის მეგობრებს დააკარებს ვინმე თითს?!

ეს, კერძოდ, ჩვენ შემთხვევას რაც შეეხება, თორემ ზოგადად, წარმატების მისაღწევად სახელმწიფოს, ჩემი აზრით, უნდა მართავდეს ერთი კაცი – ფართო უფლებებით აღჭურვილი შორსმჭვრეტელი მამულიშვილი – პრეზიდენტი, პრემიერი, მეფე ან სხვა, სახელს არა აქვს მნიშვნელობა. მაგრამ, თურმე, კიდევ ყოფილა ერთი ვარიანტი, როცა სახელმწიფოს მართვაში შეიძლება მონაწილეობდეს ხალხი, არა ირიბად, წარმომადგენლების – დეპუტატების სახით, არამედ – უშუალოდ! ერთი შეხედვით, ეს აბსურდად შეიძლება მოგეჩვენოს კაცს! როგორ შეიძლება მსგავსი რამ – ხალხის მიერ სახელმწიფოს მართვა! მეც ზუსტად ამ აზრზე ვიყავი და ვიქნებოდი დღესაც, რომ არა ლიბიაში განვითარებული მოვლენები 2011 წელს. მაშინ გავეცანი ლიბიაში არსებულ წყობასაც, იქაურ ცხოვრების დონესაც და თავად „დიქტატორ“ კადაფისაც მისი ნაშრომით – „მწვანე წიგნი“, სადაც საკმაოდ ნათლადაა დასაბუთებული როგორც საპარლამენტო მმართველობის სუსტი მხარეები, ისე ლიბიაში (მხოლოდ ლიბიაში!) არსებული სახალხო კონგრესებით სახელმწიფოს მართვის დადებითი მხარეები. ამ სახის მმართველობის აშკარა უპირატესობა, სხვა ფორმებთან შედარებით, თვალნათლივ დადასტურდა ორმოცი(!) წლის მანძილზე, დაწყებული 1969 წლიდან, როდესაც ჩამოაგდეს გარედან მართული მეფე, ქვეყანა დაატოვებინეს უცხოეთის სამხედრო ბაზებს და დაიწყო შემოსავლების სამართლიანი განაწილება თითოეულ ლიბიელზე. ამ განაწილების და მისგან გამომდინარე მიღწევების კონკრეტულ მაგალითებს არ ჩამოვთვლი, ამის თაობაზე რამდენჯერმე დაიწერა პრესაში და, ფართო საზოგადოებისთვის მეტ–ნაკლებად ცნობილია. ვიტყვი ზოგადად, მსოფლიოში არც ერთ სახელმწიფოს, დემოკრატიულს თუ დიქტატორულს, თავისი ალმავლობის საუკეთესო მონაკვეთშიც კი, არ მიუღწევია იმ სოციალური წარმატებებისთვის, რასაც ლიბიამ მიაღწია კადაფის ხელში (ამ მხრივ, ლიბიას მხოლოდ 1933-1939 წლების ჰიტლერის გერმანიას თუ შევადარებთ, რომელ პერიოდსაც გერმანიის მტერმაც და მოყვარემაც „ეკონომიკური სასწაული“ უწოდა, ან 1933-1953 წლების სტალინის საბჭოთა კავშირს, როცა მეორე მსოფლიო ომის შედეგად, თითქმის, მთლიანად მიწასთან გასწორებული ქვეყანა არნახულად სწრაფად დადგა ფეხზე; შეიძლება გავიხსენოთ ჩილეს ეკონომიკური სასწაულიც, როცა დიქტატორ პინოჩეტის 17–წლიანი მმართველობის შემდეგ, ჩილე ერთადერთი(!) სახელმწიფო გახდა მთელ ამერიკის კონტინენტზე, რომელსაც საგარეო ვალი აღარ ჰქონდა. მაგრამ ამ სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ლიბიაში არც რეპრესიებს ჰქონია ადგილი და მოსახლეობისთვის კომუნიზმის სადარი პირობების შექმნითაც მასთან ახლოსაც ვერ მივიდოდა ვერც ერთი სახელმწიფო).

ბევრ მკითხველს ლოგიკური აზრი დაებადება და შემეპასუხება კიდეც – ლიბიის შემთხვევაშიც, ალბათ, სახელმწიფოს მართვის სისტემა კი არაა გადამწყვეტი, არამედ კომუნისტების დროინდელი „კადრები წყვეტენ ყველაფერსო“. ეს პოსტულატი, რა თქმა უნდა, უდავოდ სწორია და არც გადახედვას ექვემდებარება, მაგრამ საქმეც ის არის, რომ **კადრების შერჩევის პრობლემა, ანუ ხალხის ინტერესების უგულებელმყოფელი, არასასურველი კონგრესის წევრების შეცვლა ძალიან ადვილად და ოპერატიულად წყდება ადგილობრივი სახალხო კონგრესების დონეზე** და, ვინაიდან, უმაღლესი სახალხო კონგრესი ქვედა დონის კონგრესების დელეგატებისგან კომპლექტდება, ამიტომ, განსხვავებით სხვა გავრცელებული მართვის სისტემებისგან, უმაღლეს ორგანოში ველარ ხვდებიან ყველაფერზე (მოტყუება-მოქრთამვა-გაყალბება-შანტაჟი-მკვლელობა-ღალატზე) წამსვლელი ელემენტები, „ნაცებად“ წოდებულების მსგავსნი, და ვერც ისეთი „ქოცები“, რომლებიც „ვახტანგურით“ გადაფსკვნილები „ნაცებთან“ წარბშეუხრელად გვიმტკიცებენ, აქაოდა, არავითარი კრიზისი ქვეყანაში არ არის, ჩვენ მშვენივრად ვგრძნობთ თავს „ნაცებთან“ ჩახუტებულები „ძია სემის“ კალთის ქვეშო! კადაფის მიერ მოფიქრებული სახალხო კონგრესების დიდზე დიდი უპირატესობა არის ის, რომ ისინი ძირშივე(!) არ აძლევენ უსინდისო ხალხს დაწინაურების საშუალებას. სხვანაირად, არათუ 40 წლის განმავლობაში, არამედ გაცილებით მალე, თუ არა თავიდანვე(!), სათავეში, ძირითადად, იმ კატეგორიის ხალხი მოხვდებოდა, რომელთა პირველი საზრუნავი საკუთარი თავია, და შემდეგ – სახელმწიფო და ერი, ისიც – ზოგჯერ! შორს რომ არ წავიდეთ და სხვისი მაგალითები რომ არ მოვიშველიოთ, ფაქტია: 20 წელიწადში 4-ჯერ გამოვიცვალეთ ხელისუფლება და საშველი მაინც არ დაგვადგა! რეალურ(!) ძალაუფლებას ყოველთვის უწესო ხალხი ეპატრონება!

საჭიროდ მიმაჩნია ოდნავ გადავუხვიო და ლიბიის მიწასთან გასწორების მიზეზებზე ვთქვა ორიოდ სიტყვა. კადაფის დიქტატორობა და ყბადაღებული დემოკრატიის დამყარება არ ყოფილა ამის მიზეზი, არც ნავთობი მხოლოდ, როგორც ეს ბევრს ჰგონია. უდავოა, ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდება ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო ამერიკა-„ნატოსი“, მაგრამ იყო კიდევ სამი მიზეზი და, ძნელი სათქმელია, რომელი ჩაითვალა გადამწყვეტად, როდესაც ლიბიაზე თავდასხმის გეგმა შემუშავდა. ესენია: 1. შიში იმისა, რომ ლიბიის მაგალითი (სახელმწიფოს მართვის და, შესაბამისად, შემოსავლების განაწილების წესი), ადრე თუ გვიან, მისაბაძი გახდებოდა სხვა სახელმწიფოებისთვის და საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა განვითარებადი ქვეყნების ყვლეფის სისტემა მთლიანად; 2. ოქროს ფულის შემოსაღებად კადაფის მიერ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები, რასაც ქაღალდად ქცეული დოლარის, როგორც საერთაშორისო ვალუტის, სამუდამოდ დასამარება მოყვებოდა; 3. და კიდევ ერთი მიზეზი, ეს არის ნავთობზე და ოქროზე უძვირფასესი... წყალი!

ამ მიზეზებიდან მხოლოდ ერთზე, 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანეს რესურსზე, სასმელ წყალზე შევჩერდები.

ზუსტად 60 წლის წინათ ლიბიის სამხრეთში, უდაბნოში, 500 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს მტკნარი, აბსოლუტურად სუფთა სასმელი წყლის ოთხი, წარმოუდგენლად დიდი რეზერვუარი, მოცულობით ბაიკალის ტბის ტოლი! შედარებისთვის ეს იგივეა, მთელი ამიერკავკასია – აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო 100 მეტრის სიღრმის ზღვად რომ იქცეს. უკვე ახლა ღირს სასმელი წყალი ნავთობზე ძვირი და ამისთანა, მართლა ნავთობზე და ოქროზე ძვირფას რესურსს ჩაუტოვებდა დასავლეთი ლიბიას თავისთვის მოსახმარად?! ლიბიას კი არა და, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა და სხვა მაღალჩინოსანმაც რუსეთს წაუყენა პრეტენზია (პუტინის წინა პერიოდში!) – რა ამბავია ამდენ რესურსს რომ ფლობთ, სხვასაც უნდა გაუნაწილოთო! ლიბიის მიწასთან გასწორებით ამერიკამ, შეიძლება ითქვას, რამდენიმე კურდღელი დაიჭირა: 1. ხელთ იგდო უმაღლესი ხარისხის ნავთობი, რომელსაც გაწმენდა, თითქმის, არ სჭირდება; 2. უწმინდესი სასმელი წყლის ზღვა, რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებული რეზერვუარებიდან ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე 4.5 მეტრი დიამეტრის მილებით უკვე მიყვანილი (კადაფის მიერ განხორციელებულ ამ პროექტს მსოფლიოს მერვე საოცრება უწოდეს!); 3. კადაფისთვის მიბაძვას – მმართველობის ანალოგიური ფორმის შემოღებას და ხალხისთვის ლიბიის მსგავსი ცხოვრების დონის შექმნას ცოტა ვინმე თუ გაბედავს (იციან, ამერიკა ყველაფერზე წამსვლელია!); და, 4. არც ოქროს ფულის მოჭრის ინიციატივას აიღებს ვინმე თავის თავზე (ჩინეთ-რუსეთის გარდა).

**იაკობ ლეჟავა.**

12 ოქტომბერი, 2013

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 200

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზენტაცია

# ნიადაგ – საზოგადოების სამსახურში



**გამორჩეული მხატვრული, პუბლიცისტური თუ დოკუმენტური ღირებულებების შემცველი, დიდი საზოგადოებრივი ინტერესის გამომწვევი ნაწარმოებების ნაწყვეტები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდება. ასე იყო რამდენიმე თვის წინათაც, როცა ნაპოლეონ ქარქაშაძის მხატვრულ-დოკუმენტური, იმ დროს ჯერ კიდევ დაუსტამბავი წიგნის „სხივი წყვდიადში, ანუ აკადემიკოსი გისოსებს მიღმა" ფრაგმენტები გამოქვეყნდა, რამაც მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია და მაღალი შეფასება მიილო. ახლახან კი ნაპოლეონ ქარქაშაძის საზოგადოების ფართო ფენებისთვის უაღრესად საყურადღებო ეს თხზულება წიგნად გამოიცა, რომლის საჯარო პრეზენტაცია გასული კვირის მიწურულს მაგთის კლუბში გაიმართა.**

რადგან წიგნის შინაარსი ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი, მის თაობაზე დაწვრილებით ლაპარაკს არ შევუდგები, ვიტყვი მხოლოდ, რომ მასში ბატონმა ნაპოლეონმა დიდი განცდით, მძაფრი ემოციურობით აღწერა თავისი ცხოვრების რამდენიმე გამორჩეული მონაკვეთი, რომელიც მკვიდრადაა ჩაქსოვილი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპებში. მათში კი, ვისაც წიგნი „სხივი წყვდიადში" ჯერ არ წაუკითხავს, მისი ექვსი თავის მარტო დასათაურების უბრალო ჩამოთვლაც კი – „აფხაზეთი", „დამოუკიდებლობა", „მესამე პრეზიდენტი", „გისოსებში", „ციხეშიც ხუმრობენ" და „დოქსოპულოები", ვფიქრობ, ნაწარმოების გაცნობის ინტერესს გააღვივებს.

ნაპოლეონ ქარქაშაძის სახელი არა მარტო საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც კარგადაა ცნობილი – იგი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებაში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, „საპატიო ნიშნისა" და „ღირსების ორდენების" კავალერი, საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, ასევე სანფრანცისკოს, მსოფლიო უმაღლესი განათლებისა და სხვა საერთაშორისო აკადემიების წევრი, უცხოური უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი და პროფესორია. „სხივი წყვდიადში" მისი მეოთხე წიგნია, წინა სამი კი – „სტალინი", „ხრუშჩოვი" და „ბრეჟნევი" პოლიტიკური რომანებია, რომლებმაც ასევე მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მაგთის კლუბში ნაპოლეონ ქარქაშაძის წიგნის პრეზენტაციას ქართული და აფხაზური საზოგადოების მრავალი გამორჩეული წევრი-მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე, შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენელი დაესწრო. ვიდრე საზეიმო ნაწილი დაიწყებოდა, ბატონ ნაპოლეონს ექსკლუზიური ინტერვიუ ვთხოვე, ჩემი მთავარი კითხვა კი იმის თაობაზე იყო, თუ რამ განაპირობა წიგნის დაწერა.

– მე არც მწერალი ვარ, არც ლიტერატორი, არც ჟურნალისტი, მეცნიერი გახლავართ, წიგნის დაწერა კი ჩემი ცხოვრების ზოგიერთმა უკუღმართმა გარემოებამ განაპირობა, ამიტომ იძულებული გავხდი, რომ იმის თაობაზე, რაც თავს გადამხდა, საზოგადოებისთვის, მომავალი თაობისთვის მეამბნა, – თქვა ბატონმა ნაპოლეონმა. – სააკაშვილის რეჟიმმა 108 დღე მამყოფა ორთაჭალის ციხეში იმის გამო, რომ ბაბუამისი აგრარული უნივერსიტეტის პრორექტორობიდან გავათავისუფლე. რისთვის ითხოვენ პრორექტორობიდან კაცს? იმიტომ, რომ დამნაშავე იყო – მექრთამე. ეს ამბავი 90-იანი წლების მიწურულს მოხდა, შვილიშვილმა კი ეს მწარედ დაიმახსოვრა, დამემუქრა კიდეც – მოვა დროო... დრო მართლაც მოვიდა და მისი რეჟიმის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი მე გავხდი. ეს შურისგება იყო, წიგნის დაწერაც დიდწილად სწორედ ამან განაპირობა. რაც დავწერე – ყველაფერი სიმართლეა, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რა და როგორ ხდებოდა სააკაშვილის მმართველობის დროს. თუმცა კი გულით ბოღმას მაინც არ ვატარებ...

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ




კითხვაზე, თუ ვისი მხარდაჭერით გამოიცა „სხივი წყვდიადში", ბატონმა ნაპოლეონმა მიპასუხა:

– წიგნის გამოცემა, მისი პრეზენტაციის მოწყობა მაგთიკომის თავკაცის ბატონ გია ჯოხთაბერიძის დამსახურებაა. სოხუმში მუშაობის პერიოდში მამამისთან, ბატონ გობრონ ჯოხათაბერიძესთან დიდი მეგობრობა მაკავშირებდა. როცა ბატონმა გიამ წიგნის დაწერის ამბავი შეიტყო, თავადვე შემომეხმიანა, გვერდში ამომიდგა და მისი მეცადინეობით „სხივმა წყვდიადში" დღის სინათლე იხილა.

თავისი მადლიერების გრძნობა ბატონ ნაპოლეონ ქარქაშაძეს წიგნის თავფურცელზეც აქვს გამოხატული: „ბატონო გია, წიგნის ფასი მხოლოდ წიგნიერმა ადამიანმა იცის, თქვენც ასეთ ადამიანთა რიგებში მოიაზრებით. სხვანაირად არც შეიძლება – ღირსეული მამის ღირსეული შვილი ხართ! ღრმა პატივისცემით, ნაპოლეონ ქარქაშაძე".

ვფიქრობ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ სავსებით სამართლიანი სიტყვებია, რადგან კომპანია მაგთიკომი, რომლის თავკაცია ბატონი გია ჯოხთაბერიძე, ჭეშმარიტად დიდ საშვილიშვილო საქმეებს აკეთებს და დევიზს „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ" საზოგადოების სამსახურში ყოფნით ასრულებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

სოფელი

# კო(ოო)პერატივები მოუნდათ...

**არა ისეთი, ჯაყო და ბრინკა რომ გეგმავდნენ და საბოლოდ ჯაყომ რომ განაცხადა: „კ ჩორტუ კაპრატივი, არ უნდა ჯაყოსა კაპრატივი". არც ისეთი, სოციალისტური წყობის დროს რომ იყო, კოლმეურნეობები – „კომუნისტებმა გლეხებს რომ მიწა შეაძულეს". დღეს რომ შექმნიან, ეს იქნება ჩვენი „მაღალი ინტელექტით სახელგანთქმული პოლიტიკოსების" (ზოგიერთ პოლიტიკოსთან ბოდიშის მოხდით) მიერ მიღებული კოოპერატივები და ისინი აუცილებლად უპასუხებენ დღევანდელ „ეკონომიკურ გამოწვევებს" – „ნახავთ როგორ აშენდება სოფელი".**

შეუძლებელია ასე წერო ამ თემაზე, რადგან საკითხი ძალიან მტკივნეულია, და თუ ჩვენი ქვეყნის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც დაკავებულია სასოფლო პროდუქტების მოყვანითა და რეალიზაციით, არ ჩაერთო ამ პროცესში, არ განაცხადა თავისი და ქვეყნის ინტერესების შესახებ, როგორც სხვა დროს, დღესაც, შეიძლება მიიღონ ისეთი კანონები, რომლებიც საბოლოოდ დაანგრევს ჩვენს სახელმწიფოებრიობას.

ასეთი კანონების მიღება რომ შეეძლოთ ჩვენს პოლიტიკოსებს და პარლამენტს, ამაში ჩვენი მოქალაქენი უკვე დარწმუნებული არიან.

თურმე იგივე ხდება დღესაც: კოოპერაციის შესახებ კანონპროექტი მომზადებული ყოფილა და მისი ავტორია პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი.

ბატონ აგულაშვილის გარდა, კოოპერატივების სასარგებლოდ, როგორც 2013 წლის 29 აპრილი-5 მაისის გაზეთ „კვირის პალიტრაში" განცხადებას აკეთებს დედოფლისწყაროს რაიონის ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე ზურაბ თეთრაძე: **„შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ ეს ყველაფერი კოლექტივიზაციას წააგავს, მაგრამ კოლექტივიზაცია სულ სხვა რამეა, კოოპირება კი სულ სხვა. შვედეთი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანაა სოფლის მეურნეობის მხრივ. იქ ნანახი მაქვს ფერმერთა გაერთიანებები, სადაც 1000-1500 კაცი მუშაობს. აშკარაა რომ ეს ძალიან კარგი გზაა არა მარტო დარგის განვითარებისათვის, არამედ ხალხის დასაქმებისათვისაც".**



კარგი იქნებოდა ბატონ ზურაბს შვედეთში ნანახი უფრო ღრმად გაეანალიზებინა, თორემ ასეთი ზოგადი გადმოცემით ძნელი დასაჯერებელია, რომ ფერმერთა გაერთიანება დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის. იმედი გვაქვს, რომ ბატონმა ზურაბმა და ბევრმა სხვამ იციან, რომ ევროპის სახელმწიფოებმა ბევრი რამ გადაიღეს (ისწავლეს) საბჭოთა კავშირიდან; მათ შორის ერთიანი სავალუტო სივრცე და ერთიანი ვალუტა, ერთიანი კანონმდებლობა და სხვა. მათ შორის იქნება კოოპერირებაც.

კოოპერაციის ძირითად მიზნებზე დაუფარავად აცხადებს პარლამენტარი, დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი თემურ მაისურაძე: **„კოოპერატივი ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომელიც უფრო ადვილად გაართმევს თავს ამოცანებს და უფრო ადვილად მოიზიდავს ფინანსებს – ინვესტორი ეცდება, ფული გამსხვილებულ მეურნეობაში დააბანდოს".**

ინვესტიციების მოზიდვა იყო და არის ჩვენი ხელისუფლების ძირითადი მიზანი. დღესაც ფართოდ აცხადებენ დიდი რაოდენობით ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობაზე. მოქალაქეებს არწმუნებენ, რომ უცხოური ინვესტიციები მომგებიანია როგორც ინვესტორებისათვის, ისე რიგითი მოქალაქეებისთვის, სურთ, ეს პროცესი წარმოადგინონ, როგორც სექსუალური აქტი, როცა ორივე მ ხარე ალტაცებული და კმაყოფილია.

ბოლნისის რაიონის ქვედა ზონაში, მარნეულის, გარდაბნის და სხვა რაიონებში, სადაც მიწის ნაკვეთები ირწყვება, არ სჭირდებათ არც ინვესტიციები და არც კოოპერირება. თუ ვინმეს დააინტერესებს, შეუძლია დაითვალოს ამ რეგიონში ერთ ჰა-ზე მოწეული სასოფლო პროდუქტების რაოდენობა (წელიწადში 2-3 მოსავალი მოყავთ) და შეუდაროს დასავლეთ ევროპის ნებისმიერი ქვეყნის ასეთივე სიდიდის ფართობზე მიღებულ სასოფლო პროდუქტს, პროდუქტის ეკოლოგიური სისუფთავის გათვალისწინებით და შემდეგ გააკეთოს ანალიზი.

ბატონი ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში პირდებოდა მოქალაქეებს, სოფლად სასოფლო პროდუქტის გადამმუშავებელი საწარმოების მშენებლობას. ეს სოფლის მეურნეობაში სტრატეგიული მიმართულება უნდა ყოფილიყო. ამ მიმართულების მნიშვნელობაზე დღესაც საუბრობს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური. როდესაც მარნეულში „მარგებელი ჰოლდინგის" საწარმოები დაათვალიერა, მან თქვა: „სწორედ ასეთი ტიპის მეურნეობებით მოვახერხებთ როგორც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დაცვას, ისე საექსპორტო პოტენციალის გაზრდასაც".

2013 წლის 14 მაისს ჟურნალისტებთან შეხვედრისას ინვესტიციებზე და მის არსზე კიდევ ერთხელ ისაუბრა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა.

და, მიუხედავად, ყოველივე ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მაინც დაიწყო სოფლად „ვაუჩერიზაციის პოლიტიკა", რომელიც არანაირად არ ულდებოდა „ქართული ოცნების" და ბატონ ბიძინა ივანიშვილის დაპირებებთან. უფრო მეტიც, თავიდანვე ჩანდა, რომ „ვაუჩერიზაცია" ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა კორუფციისა და სახელმწიფო სახსრების დატაცებისთვის.

აღსანიშნავია ბატონ ბიძინა ივანიშვილის დაპირება ახალი სარწყავი არხების მშენებლობისა და ძველი არხების აღდგენა-რეაბილიტაციის თაობაზე. რაც „ვაუჩერიზაციაზე" დაიხარჯა, იმის მეოთხედი სარწყავი სისტემის თუნდაც, წესრიგში მოსაყვანად რომ დახარჯულიყო, მოსავლიანობაც გაიზრდებოდა და გაქცეული კაციც დაუბრუნდებოდა სოფელს.

სასურველია (იქნებ აუცილებელიც), რომ დღევანდელმა საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კარგად გაიხსენონ წინასაარჩევნო დაპირებები და მათი გათვალისწინებით დასახონ და პრაქტიკულად განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები.

**ნუგზარ კოზახიძე,**
**ბოლნისი**

⊙ განუკითხაობა

# კეზერაშვილი მის მიერვე ქონებაჩამორთმეულ ბიზნესმენს უჩივის

ფრანგულმა გაზეთმა „ლემონდმა“ ვრცელი სტატია მიუძღვნა მის ქვეყანაში საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის კეზერაშვილის დაკავების ფაქტს. წერილში ნათქვამია, რომ იგი ლონდონიდან საფრანგეთის გავლით ალბანეთში, ტირანაში მიემგზავრებოდა. გაზეთი ხაზს უსვამს ფრანგი და ქართველი სამართალდამცავების ერთობლივ და კოორდინირებულ მუშაობას – განსაკუთრებით ამ ქვეყნების პოლიციელთა ინტერპოლის ეროვნული ბიუროებისას. სტატიაში გაანალიზებულია ის კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, რაზეც ექს-მინისტრს ქართველი სამართალდამცავები უყენებენ ბრალს.

### რას ფრანგულ პრესას გამორჩა

ექსპერტები გაოცებას ვერ მალავენ, თუ როგორ შესძლო წაგებულ ომში სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრმა ერთ წელიწადში ქვეყანაში უმდიდრესი ადამიანი გამხდარიყო. იგი გახდა მონოპოლისტი ლატარიისა და ნავთობის ბიზნესში. თუ რა გზებით ხდებოდა ეს, ერთი მაგალითიც ბევრის მთქმელი იქნება.

**2010 წელს კეზერაშვილმა ძალის გამოყენებით, ფოთის პორტის ტერმინალის მფლობელი, ბიზნესმენი თამაზ ნიჟარაძე უკანონო პატიმრობაში აიყვანა და 4-დღიანი არაადამიანური მოქცევის შემდეგ აიძულა გემისადგომი უკვე ექს-მინისტრის სახელზე გადაეფორმებინა. ისე რომ, მფლობელისათვის ერთი თეთრიც არ გადაუხდია.**

**მაშინ ვინ გაუბედავდა კეზერაშვილს ჩივილს, მაგრამ 2012 წლის არჩევნების შემდეგ ხალხმა შვებით ამოისუნთქა და პროკურატურა აივსო ქონებაჩამორთმეულთა საჩივრებით** – ამბობს ნიჟარაძის ადვოკატი **შალვა ხაჭაპურიძე**. დაიწყო გამოძიება. მაგრამ საერთო კოჰაბიტაციის ფონზე საქმე გაიყინა და ადგილიდან არ იძვრის. ბიზნესმენის უფლებების დამცველი აკონკრეტებს, რომ ამ საქმეში ფიგურირებენ სააკაშვილის დროინდელი შსს-ს მაღალჩინოსნები, რომელთა უმეტესობა დღესაც თანამდებობაზეა, ადვოკატი თვლის, რომ დღეს ფოთის პორტი მთლიანად კეზერაშვილის გავლენის სფეროა.

ექსმინისტრი მიხვდა, რომ მის თავზე შავი ღრუბლები იკრიბებოდა. მანაც მთელი თავისი ბიზნესი ვინმე იაკობაშვილის სახელზე გადაიტანა. როგორ აღმოჩნდა მთელი ბიზნესი იაკობაშვილის ხელში, კითხულობს ხაჭაპურიძე და თავადვე პასუხობს, დგას თუ არა ამის უკან დღევანდელი ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან ვინმე, ძნელი სათქმელია, ამას დრო გამოაჩენს.

კეზერაშვილმა კონტრნაბიჯი გადადგა. მის მიერვე ქონებაწართმეულ ბიზნესმენ ნიჟარაძეს და ადვოკატ ხაჭაპურიძეზე სასამართლოში სარჩელი შეიტანა, იგი მილიონ-მილიონ დოლარს ითხოვს თითოეულისგან – მათ ჩემი, როგორც ბიზნესმენის სახელი შებღალეს და საქმიანობაში ხელი შემიშალესო.

ხაჭაპურიძემ გაარკვია, რომ ექსმინისტრს ამ საქმეში 2 ადვოკატი ჰყავს. ერთი მინდობილობა გამოწერილია ისრაელში, მეორე – ლონდონში. გამოდის, რომ იგი თავისუფლად გადაადგილდებოდა მთელ ევროპაში.

პირველად ინსტანციაში ნიჟარაძე-ხაჭაპურიძის წყვილმა სასამართლო მოიგო. კეზერაშვილის მთლიან ქონებას ყადაღა დაედო. ბუნებრივია, კეზერაშვილმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უფლებადამცველი ამტკიცებს, რომ მოსამართლეებზე დიდი ზეწოლაა, რათა კეზერაშვილის გამამართლებელი განაჩენი გამოიტანონ. ადვოკატი **ხაზს** უსვამს სასამართლოს გადაწყვეტილების უდიდეს მნიშვნელობას ქვეყნის განვითარებისათვის. მოსამართლეთა ვერდიქტს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ შევიწროებული და დაჩაგრული ბიზნესმენებიც. რადგანაც ახლად მიღებული კანონი – **„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“**, შეიძლება პირველად ამოქმედდეს.

თუმცა, კეზერაშვილის ფრანგული ინტერპოლის მიერ დაკავებამ, გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააგდო სამართალდამცავი სტრუქტურები.

### ...და არა მხოლოდ კეზერაშვილი

**კეზერაშვილზე რამდენიმე დღით ადრე თბილისის, ვენისა და ანკარის ინტერპოლის ეროვნული ბიუროების თანამშრომლობის შედეგად ავსტრიაში დააკავეს 2013 წლის სექტემბრიდან ძებნილი დავით ჩაგინავა.**

გამოძიებით დგინდება, რომ ჩაგინავა, ძებნილი მეგის ქარდავას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი იყო. ის იმ პირთა ჩამონათვალშია, ვისაც ევალებოდათ სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე, დასახლებული პუნქტებისაგან მოშორებით, ტყის მასივებში, ე. წ. „მიუღებელ“ პირთა „მიწურებში“ წამება, დაშინება და ა. შ. მას კონკრეტულად ბრალი ედება ორ პიროვნებასთან ამგვარი ქმედება და მათი გაუპატიურება.

ამჟამად მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები ჩაგინავას საქართველოში ექსტრადაციისთვის.

**ზაზა ბილიხოძე**

⊙ არჩევნები



# ვის აძლევენ ხმას დევნილები?

საარჩევნო მარათონი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ღელავენ პრეზიდენტობის კანდიდატები, მათ უკან მდგომი პარტიები, მაგრამ საზოგადოებას, ჯერჯერობით, მაინც, ვნებათაღელვის არაფერი ეტყობა. ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ არჩევნები ნამდვილად მშვიდ გარემოში ჩაივლის, რასაც სწორადაც მიუჩვეველნი ვართ. პრეზიდენტობის კანდიდატთაგან ვერც ერთი ქარიზმით ვერ დაიკვეხნის, ისტერიულად არ ყვირის ერისკაცობაზე, ჩაწიკწიკებული აქვთ სამოქმედო პროგრამები, თუმცა, მათი განხორციელება რამდენად რეალურია, ეს სხვა საკითხია. ხალხს კი, უყვარს ემოციური, ქარიზმატული, გონებაზე გრძნობაგამარჯვებული ლიდერები. სწორედ რომ საფლავის კარამდე მიყვებიან ასეთებს, ეს იმიტომ, რომ ვერ ვისწავლეთ ჩვენი ბობოქარი ემოციების მოთოკვა. ჰოდა, რადგანაც, წარმოდგენილ კანდიდატთაგან, ტანსაცმლიდან არავინ ხტება, საზოგადოებაში დაბალია წინასაარჩევნო პოლიტიკური ტემპერატურა.

არის სხვა, მომენტიც, ასჯერ გაწბილებულ ადამიანს უიმედობა იპყრობს, ჩემი საშველი მაინც არ იქნებაო, ფიქრობს და საერთოდ არ აინტერესებს ვინ იქნება პრეზიდენტი.

საზოგადოება ბევრს ელოდა ივანიშვილისგან, იმაზე მეტს, რასაც, ალბათ, თვითონ ივანიშვილი ვერასოდეს წარმოიდგენდა.

რას ფიქრობენ ამაზე საკუთარი მიწა-წყლიდან გამოძევებული ადამიანები, ვინც საკუთარ სამშობლოში ორჯერ და სამჯერაც გახდა დევნილი. ისინი საზოგადოების ის ნაწილია, ვინც პირდაპირ არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე. ისინი, ყოველთვის ხმას სახელისუფლებო კანდიდატს აძლევდნენ. მოსწონდათ თუ არ მოსწონდათ. ამ ნაბიჯს დაფიქრებულად დგამდნენ: მათ, ძალიან კარგად იციან, რომ სახელისუფლებო კანდიდატი უმეტეს შემთხვევაში იმარჯვებს. ისინი, ამას ყოველთვის ხმამაღლა აფიქსირებდნენ, კერძო საუბრებისას თუ ამა თუ იმ ლიდერებთან, წინასაარჩევნო შეხვედრების დროს. ამ მხარდაჭერას, თავისი მიზეზი აქვს, თან რეალური. ისინი სოციალურ დახმარებას, ბინების მიღებას და დაკანონებას მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებისგან ელიან. ცხოვრებამ დევნილებს მძიმე და მწარე გაკვეთილი ჩაუტარა. აქედან გამომდინარე, მათ ისწავლეს, მომგებიანი გადაწყვეტილების არჩევა.

ისიც, კარგად იციან, რომ ძალა ალმართს ხნავს. რომ დინების საწინააღმდეგოდ ცურვა, ხშირად დამღუპველია.

2011 წლის ადგილობრივი არჩევნების პერიოდში, შეიძლება ითქვას, რომ დევნილებმა მასობრივად მისცეს ხმა მმართველ პარტიას, ერთიან, ნაციონალურ მოძრაობას. სამწუხაროდ, ყველას კარგად ახსოვს, არჩევნების შემდეგ, ძალიან მალე, როგორ გამოყარეს ასობით დევნილი, 18-წლიანი ცხოვრების მერე, უკვე ადაპტირებული გარემოდან და გაუყენეს ფოცხოვნერის გზას. ასეთი, არაერთი მაგალითია ყოფილი ხელისუფლების ზეწოლისა დევნილებზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დევნილების უმრავლესობამ ხმა მაინც, მაშინდელ სახელისუფლებო ძალას, ნაციონალურ მოძრაობას და მათ მიერ წარმოდგენილ კანდიდატს მისცა.

მასთან, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, დევნილთა სამინისტროს, მაღალჩინოსანთა გარკვეული ჯგუფი მაშინდელი ოპოზიციის მხარეს იდგა. ისინი ცდილობდნენ გავლენის მოპოვებას დევნილებზე, რათა ხმა „ქართული ოცნებისთვის“ მიეცათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. დევნილები, დარწმუნებული არ იყვნენ , რომ ნაციონალური მოძრაობა დამარცხდებოდა, ამიტომ მმართველი ძალისთვის ხმის მიუცემლობა დიდი რისკი იქნებოდა.

ერთი წლის წინათ, ხელისუფლებაში მოვიდა „ქართული ოცნება“. დევნილებისთვის, საერთოდ არაფერი შეცვლილა. პენსია თუ გაიზარდა, სოციალური შემწეობის თანხის მომატებაზე კი, არავის ის უფიქრია. ოცდარვა ლარი ოცდარვა ლარად დარჩა. მთავრობა, დღემდე გვპირდება, რომ არც ერთი დევნილი უბინაოდ არ დარჩება. ვნახოთ!

ივანიშვილი საზოგადოების ყველა ნაწილში, მათ შორის დევნილებში, მაღალი ნდობით სარგებლობს, ჯერჯერობით დანაპირებს ვერ ასრულებს, მაგრამ კაცია და სიტყვას უკან არ წაიღებსო. ღმერთმა ქნას! ეს, ნდობა, პირდაპირ მარგველაშვილზე აისახება. წინა არჩევნებში, „ქართული ოცნება“ ივანიშვილთან იყო გაიგივებული და შედეგიც მივიღეთ. ხალხმა ივანიშვილს მისცა ხმა და არა მის კოალიციაში წარმოდგენილ სუბიექტებს. ამჯერადაც ასეა, მარგველაშვილს, ცალკე არავინ მოიაზრებს:. „ივანიშვილი-მარგველაშვილი“. დევნილების უმრავლესობის არჩევანიც მარგველაშვილზე შეჩერდა. დევნილების გარკვეულ ნაწილში (უფრო ახალგაზრდები) სიმპატიებით სარგებლობს დავით ბაქრაძე, რასაც ვერ ვიტყვით ნინო ბურჯანაძეზე. დევნილები, მას ძველ ცოდვებს უხსენებენ, როცა ნინომ მათ მოღალატეები უწოდა. სწორედ, ამაზეა ნათქვამი, „ენით დაკოდილს, ცულით დაკოდილი სჯობიაო“.

თუმცა, ბურჯანაძესთან მიმართებაში, ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ, მისი პარტიის გენმდივანი აფხაზეთის მთავრობის მეთაური ვახტანგ ყოლბაია გახლავთ. აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანების ხმები, ქ-ნ ნინოს უკვე ჯიბეში უდევს.

**ნატო ხაფთანი**

⊙ ალიან-ჩალიანი

# წინა ხელისუფლების „მანქანომანია“, ანუ 110 ათასი ევრო ერთ მანქანაში

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ საჯარო დაწესებულებების მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ტიპის რეგულაციების ნაკლებობაზე მიუთითებს, – ამის შესახებ საია-ს მიერ ჩატარებულ კვლევაშია ნათქვამი.

კვლევის – „საჯარო სამსახურებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი“ პრეზენტაცია საია-მ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ოფისში გამართა.

კვლევაში განხილულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტის, მთავრობის, კანცელარიის, საქართველოში არსებული ყველა სამინისტროს და სახელმწიფო მინისტრის აპარატების, ასევე თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთისა და რუსთავის თვითმმართველობების მიერ 2011 წლის პირველი იანვრიდან 2013 წლის ივლისის თვის ჩათვლით შესყიდული, ასევე უსასყიდლოდ და ჩუქების ფორმით მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემთხვევები. კვლევის თანახმად, 2011 წლიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონიტორინგის სუბიექტებმა 2 146 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეისყიდეს, რომელთა ღირებულებამ ჯამში 61 439 788 ლარი, 16 545 081 დოლარი და 110 000 ევრო შეადგინა.

როგორც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ კახა კოჟორიძემ აღნიშნა, კვლევის თანახმად, ყველაზე მეტად შს სამინისტრო გამოირჩევა როგორც ჩუქებით მიღებული ქონების, ასევე შესყიდვისათვის დახარჯული თანხის რაოდენობით. კერძოდ, ყველაზე ძვირად ღირებული ავტომობილი საქართველოს შს სამინისტროს მიერ იქნა შეძენილი 2012 წლის ივლისის თვეში, რაშიც უწყებამ 110 000 ევრო გადაიხადა. ამასთან, კვლევის თანახმად, რუსთავის ადგილობრივმა თვითმმართველობამ ავტომობილი 170 000 ლარად შეიძინა.

რაც შეეხება ჩუქების ფაქტებს, კვლევის მიმდინარეობისას გამოვლინდა ძვირადღირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ და ჩუქების სახით გადაცემის ტენდენცია. ამ მხრივ, განსაკუთრებით მაღალია შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის კერძო პირების მიერ ჩუქების ფორმით გადაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა რაოდენობამ ჯამში 87 შეადგინა. ამასთან, საია აღნიშნავს, რომ ჩუქებისა და უსასყიდლო ფორმის სახით ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაცემის ფაქტების დიდი ნაწილი 2012 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით იქნა განხორციელებული.

კახა კოჟორიძის ინფორმაციით, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვების მოცულობამ იკლო, ხოლო კერძო პირების მხრიდან ჩუქების შემთხვევები საია-მ არჩევნების შემდეგ ვერ გამოავლინა.

**ინტერპრესი**

## ვინ – ვის?



ფარული ვიდეოჩანაწერები

# შემკვეთების გამოვლენა და დასჯაა მთავარი

## პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები განადგურდა, თუმცა, მაინც ვრცელდება

**სოციალურ ქსელში პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა გავრცელდა. ჟურნალისტი ელისო კილაძე ამბობს, რომ იმ ვიდეომასალაზე, რომელიც მას და არა მხოლოდ მას აქვს ნანახი, ასახულია მინისტრის, დეპუტატის და პოლიტიკოსის პირადი ცხოვრება. ის მინიშნებასაც აკეთებს და აცხადებს, რომ ნახსენები მინისტრი ქალია, თუმცა კილაძე არც ერთის ვინაობას არ ასახელებს. როგორც ცნობილია, 589-ე დისკი რომელშიც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები იყო გადაღებული, განადგურდა.**

მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები განადგურდა, შს მინისტრი არ გამორიცხავდა, რომ უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერების ასლები კიდევ არსებობდა. ღარიბაშვილის განცხადებით, არსებობდა დიდი ალბათობა, რომ შსს-ს არქივში დაცული მასალის ასლები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ჰქონდეთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამკაცრდება. პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გამოქვეყნება, სავარაუდოდ, პატიმრობით დაისჯება. პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გამოქვეყნების შემთხვევაში სსკ-ის 157-ე, 158-ე და 159-ე მუხლებიდან ჯარიმის ნორმა იქნება ამოღებული და დაწესდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ჩანაწერების განადგურების შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილმა უკანონოდ მოპოვებული ჩანაწერების საკითხზე გამოძიების დაწყება და კონკრეტული დამკვეთი პირის გამოვლენა დააანონსა. მისივე თქმით, საწყის ეტაპზე იგეგმება ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი ანალიზის გაკეთება, ამის შემდეგ საჯარო გახდება გამოძიების დაწყება და კონკრეტული დამკვეთი პირის გამოვლენა, რომლის უშუალო დავალებითაც ხდებოდა წლების განმავლობაში აღნიშნული უკანონობის ხელშეწყობა და წახალისება. ღარიბაშვილის განმარტებით, ყველა შემკვეთი უნდა დაისაჯოს და არა შემსრულებელი.

ექსპერტი კახა კახიშვილი ერთადერთი იყო, რომელიც ფარული ჩანაწერების განადგურებას მხარს არ უჭერდა. კახიშვილი მიიჩნევს, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მასალის განადგურებამდე უნდა მომხდარიყო იმ პირთა ვინაობის დადგენა, რომლებმაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებითა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით ინტიმური შინაარსის მასალები უკანონოდ გადაიღეს. როგორც for.ge-სთან საუბრისას კახიშვილმა აღნიშნა, ის ფაქტი, რომ ეს მასალები განადგურდა, ნიშნავს, რომ ეს ადამიანები არ დაისჯებიან. მისი თქმით, არც საერთაშორისო და არც ქართული კანონმდებლობა არ იცნობს ასეთი ტიპის დანაშაულის ჩამდენთა დაუსჯელობას.

**— ინტერნეტ სივრცეში გავრცელდა პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა. კილაძე ამბობს, რომ იმ ვიდეომასალაზე, რომელიც მას და არამხოლოდ მას აქვს ნანახი, ასახულია მინისტრის, დეპუტატის და პოლიტიკოსის პირადი ცხოვრება. როგორ ფიქრობთ, ვინ დგას ამ ორგანიზებული დანაშაულის უკან?**

**კახი კახიშვილი:** სამწუხაროდ, მაშინ კომისიამ არ გაითვალისწინა ჩემი არგუმენტები, რომ არ შეიძლებოდა იმ ფარული ჩანაწერების განადგურება მანამ, სანამ არ ჩატარდებოდა სრულყოფილი გამოძიება, რომელიც გამოავლენდა იმ პირებს, რომლებიც თავში ედგნენ იმ ორგანიზებულ ჯგუფს და საბიუჯეტო თანხების გაფლანგვით, სისტემურად აწარმოებდნენ მათთვის საინტერესო ფიგურების პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის მოპოვებას. ბუნებრივია, როდესაც სპეცსამსახურები დანაშაულებრივი გზით ახდენდნენ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის შეგროვებას კონკრეტული პირების მიმართ, ამას ჰქონდა მოტივი, ეს ადამიანი სჭირდებოდათ იმისათვის, რომ რაღაცა საკითხში გამოეყენებინათ და ამ მასალას იყენებდნენ მათი კომპრომენტაციისთვის.

როდესაც სამინისტრო აცხადებდა, რომ ჩვენ უნდა დავადგინოთ ვინ გაიტანა ეს მასალა, მაშინ ვაცხადებდი, რომ პირველ რიგში, გამოძიებამ უნდა დაადგინოს პირთა წრე, ვისაც ხელეწიფებოდა ასეთი ტიპის მასალების მოგროვება და გატანა, რომ შემდგომში შესაძლებელი იყოს მათი ვინაობის დადგენა და პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, ამავდროულად გატანილი მასალების ამოღება. სამწუხაროდ, დღეს მივედით იმ დასკვნამდე, რომ ასეთი ტიპის მასალა კიდევ გავრცელდა.

**— მაშინ დაანონსდა, რომ უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამკაცრდებოდა? რატომ გაიწელა ეს პროცესი?**

— ჩვენ დავიწყეთ მუშაობა იმ საკითხზე, რომ გამკაცრებულიყო სანქცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი დანაშაულის ჩადენის გამო. იმიტომ, რომ დღეს ეს დანაშაული შედის ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში, მისი სანქცია არაა ადეკვატური ჩადენილ სიმძიმეებთან შესაბამისობაში. ამიტომ, ჩვენ ვმსჯელობდით ამ ჯგუფის ფარგლებში, რომ გაგვემკაცრებინა კანონმდებლობა ამ კუთხით. გარკვეულწილად, შევთანხმდით კონკრეტულ სანქციაზე, კონკრეტულ მუხლზე, მაგრამ ჯერჯერობით ცვლილებები კანონში შეტანილი არ იქნა.

**— როგორ ფიქრობთ, უნდა დაიწყოს თუ არა ამ კონკრეტულ ფაქტზე გამოძიება?**

— ამას სჭირდება კანონის შესაბამისი მუხლების დაცვა. როდესაც ვრცელდება დანაშაულის შემცველი მოქმედება, ბუნებრივია, გამოძიებამ უნდა მოახდინოს რეაგირება. როდესაც ასეთ მასშტაბურ დანაშაულთან გვქონდა საქმე, ბუნებრივია, იკვეთებოდა, რომ ამ მასალის დიდი ნაწილი იყო გატანილი. სამინისტროს შენობაში დარჩა მხოლოდ ის მასალა, რომელიც არ წარმოადგენდა დიდ ღირებულებას იმ ადამიანებისთვის, რომლებიც თავის დროზე აგროვებდნენ ასეთი ტიპის მასალებს კომპრომენტაციის კუთხით.

**— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ როდესაც არჩევნები წააგო, სამინისტროს იმ შესაბამისი სამსახურების მიერ გატანილი იქნა მათთვის ღირებული მასალა, რომელიც, ალბათ, უფრო მკაცრია, ვიდრე ის, რომელიც დარჩა სამინისტროში.**

**— როგორ ფიქრობთ ვინ გაიტანა?**

— გაიტანა იმან, ვინც იცის რამხელა ძალა აქვს ასეთი ტიპის მასალის ხელში ქონას. ამ ტიპის მასალით 9 წლის განმავლობაში ახდენდნენ საზოგადოების სხვადასხვა წევრების მიმართ მანიპულირებას, შანტაჟს და დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმას. მე არ ვიცი, შსს რამდენად იძიებს ამ საქმეს და დაადგინა თუ არა ის პირები, ვინც ჩართულნი იყვნენ ასეთ დანაშაულებრივ ჯგუფში. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ამას ჰქონდა სისტემური ხასიათი და უმაღლესი თანამდებობის პირები ჩართული იყვნენ ამაში. ამიტომ საინტერესო იქნება შსს-ს პოზიცია ამ საკითხზე.

**— გამორიცხავთ, რომ სწორედ იმ ადამიანების მიერ ხდებოდეს დღეს ამის გავრცელება?**

— სუბიექტი შეიძლება იყოს მრავალმხრივი. ვფიქრობ, რომ ბევრი ჯგუფის ინტერესში იყო ამ მასალების გავრცელება. შსს-მ დროულად უნდა მოახდინოს ამ ფაქტზე რეაგირება და დაიწყოს გამოძიება, არა მხოლოდ ამ დანაშაულის გახსნის კუთხით, არამედ გააგრძელოს ინტენსიური გამოძიება იმ თვალსაზრისით, რომ დაადგინოს ის დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც სათავეში ედგა ასეთი ტიპის ჩანაწერების მოპოვებას, დაადგინოს ასეთი ტიპის მასალების შესაძლო გამტანების ვინაობა და რეალურად უზრუნველყოს მათი პასუხისმგებლობა და ამავდროულად, გატანილი მასალების ამოღება.

**თამთა ძარჩავა**

## თემიდა

# „მოსამართლედ ანგელოზიც რომ აირჩიო, მასზე ძალაუფლება მაინც მოქმედებს...“

**მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები, მოსამართლეთა დანიშვნის წესი, მათი სოციალური დაცვის საკითხი, საქმეთა გადანაწილება, ანაზღაურება და მივლინებები — ეს იმ საკითხების არასრული ჩამონათვალია, რაზეც მრგვალ მაგიდასთან შეკრებილმა მოსამართლეებმა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა რამდენიმე საათის განმავლობაში იმსჯელეს. რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ ქვეყანაში მაქსიმალურად იყოს გარანტირებული სასამართლო სისტემისა და მოსამართლის დამოუკიდებლობა?**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თამაზ ურთმელიძე, იმის საილუსტრაციოდ, რომ დღესდღეობით მოსამართლეების სოციალური დაცვის გარანტიები არ არის უზრუნველყოფილი, რადიო თავისუფლებასთან საუბარში ერთ შემთხვევას იხსენებს და ამბობს, რომ მსგავსი ფაქტები, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხს მნიშვნელოვნად ამცირებს:

„ჩვენი ერთ-ერთი კოლეგა, რომელიც ამჟამად უკვე პენსიაშია, მოსამართლეებმა მოიკითხეს და სათიბში იყო წასული. ისე არ უნდა უჭირდეს მოსამართლეს, რომ მას პენსიაში გასვლის შემდეგ ფიზიკური შრომა უწევდეს. თუკი მას მიწათმოქმედების სურვილი აქვს, ეს ერთია, მაგრამ როცა იძულებულია, ეს უკვე მეორეა. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ სოციალური გარანტიები მოსამართლეებისათვის მაქსიმალურად უნდა იყოს გაზრდილი, რადგან ისინი არ შეესაბამება საერთო ევროპულ მდგომარეობას. ჩვენ თუ გვინდა, რომ მივიღოთ დამოუკიდებელი სასამართლო, მოსამართლის სოციალური გარანტია სწორედ ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია ამ დამოუკიდებლობისა“, — ამბობს იგი.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად, როდესაც საქმე მოსამართლეთა სოციალურ გარანტიებსა და, შესაბამისად, მათ დამოუკიდებლობას ეხება, თამაზ ურთმელიძე მათ ანაზღაურებასაც ასახელებს. დღესდღეობით არსებული მდგომარეობით, პირველი ინსტანციის მოსამართლის ხელფასი 1000 ამერიკული დოლარის ფარგლებში მერყეობს. ინიციატივა, რომლითაც დღეს სასამართლო ხელისუფლება მოსამართლის ანაზღაურების მიმართულებით გამოდის, მათი ხელფასის მნიშვნელოვან ზრდას გულისხმობს. სასამართლო ხელისუფლების მიერ ინიცირებული კანონპროექტის თანახმად, პირველი ინსტანციის მოსამართლის ხელფასი 4000 ლარით უნდა განისაზღვროს.

მოსამართლეების თანამდებობაზე გამწესების საკითხი და პროცედურა, ანუ მათი თანამდებობებზე უვადოდ დანიშვნა კიდევ ერთი საკითხია, რაც, მოსამართლეებისა და არასამთავრობო სექტორის განცხადებით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და, შესაბამისად, მართლმსაჯულების მდგომარეობის გაუმჯობესებას. შეგახსენებთ, რომ ოქტომბრის დასაწყისში საქართველოს პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანას მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა. ცვლილების მიხედვით, დადგინდა 3-წლიანი ვადა მოსამართლის გამწესებისათვის საწყის ეტაპზე, სანამ მოსამართლე უვადოდ დაინიშნება. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლების ინიციატივას ამ მიმართულებით, მათი ინიციატივაა, რომ მოქმედ მოსამართლეებს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდეთ, რაც შინაარსობრივად ნიშნავს, რომ ისინი უვადოდ დაინიშნონ. თუმცა, როგორც სოფო ვერძეული, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენელი, რადიო თავისუფლებასთან საუბარში ამბობს, არსებობს კონსტიტუციური ნორმა, რომელიც აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს მოქმედი მოსამართლეების უვადოდ გადანიშვნასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მოსამართლეთა ე.წ. გამოსაცდელ სამწლიან პერიოდს, ანუ მოსამართლეებზე დაკვირვების პროცედურებისა და კრიტერიუმების გაწერას, ამ საკითხის დარეგულირება 2014 წლის პირველ მაისამდე გაგრძელდა: **„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის ვადა, რა ვადაც აიღო საქართველოს პარლამენტმა ამ კრიტერიუმებისა და პროცედურების ჩამოსაყალიბებლად, კარგად იქნება გამოყენებული — მათ შორის, სამოქალაქო სექტორის მიერ — იმისათვის, რომ ამ კრიტერიუმების დასაბუთებული ალტერნატივები შესთავაზოს როგორც სასამართლო ხელისუფლებას, ისე პარლამენტს და იუსტიციის სამინისტროს“**, — მიაჩნია სოფო ვერძეულს.

მოსამართლეთა თვითმმართველობის როლის გაზრდაზე ამახვილებს ყურადღებას „საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“ აღმასრულებელი დირექტორი ნაზი ჯანეზაშვილი. მისი თქმით, სწორედ ამ რგოლზეა დამოკიდებული თითოეული მოსამართლის გაძლიერება, მათი დამოუკიდებლობა. მისი თქმით, სწორედ მოსამართლეთა თვითმმართველობა უნდა იყოს ერთ-ერთი გარანტი იმისა, რომ მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გარემო პირობების ან ხელისუფლების ცვლილებებზე არ იყოს დამოკიდებული: მოსამართლე თამაზ ურთმელიძე რადიო თავისუფლებასთან საუბარში სასამართლო სისტემის მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებულ როლს სამოქალაქო საზოგადოებას აკისრებს და ამბობს: **„მოსამართლედ ანგელოზიც რომ აირჩიო, ხომ იცით, რომ ძალაუფლება გარკვეულად მოქმედებს მათზე და ამიტომ ყოველდღიური კონტროლი უნდა არსებობდეს სასამართლოზე და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ კარგ სასამართლოს“.**

**ნინო თარხნიშვილი,**
რადიო „თავისუფლება“

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# 14 ათასი მაჰმადიანი მესხი საქართველოში დაბრუნების მოლოდინშია

**საქართველოში** რეპატრიაცია 5 ათას ზრდასრულ მაჰმადიან მესხს და 9 ათასამდე არასრულწლოვანს სურს. როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ განაცხადა, რეპატრიაციის მსურველთა განაცხადების მიღება 2010 წელს დასრულდა. მსურველთაგან რეპატრიანტის სტატუსი 1053 პირს მიენიჭა, ხოლო საქართველოს მოქალაქეობა — შვიდს.

დარახველიძის განმარტებით, რეპატრიაციის მსურველებს ქართულად ან ინგლისურად განაცხადის გაკეთება უჭირთ. ამიტომ, სამინისტრო მათ მოქალაქეობაზე განაცხადის შევსებისას დაეხმარა. შედეგად რეპატრიაციის მსურველთა 90%-მა განაცხადი უკვე შეავსო და მათი საქმეები საქართველოს მოქალაქეობის მიღების მიზნით იხილება.

დავით დარახველიძემ ისიც დასძინა, რომ ამით საქართველო ევროსაბჭოსთან ე.წ. მაჰმადიანი მესხების დაბრუნების შესახებ აღებულ ვალდებულებას შეასრულებს. მოქალაქეობის მიღების შემდეგ რეპატრიანტები საცხოვრებელ სახლებს მათთვის სასურველ რეგიონში თავად შეიძენენ და ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას მოახდენენ.

უფრო მეტიც, სახელმწიფოს სხვა ვალდებულება მუსლიმანი მესხების სოციალიზაციასა და დაბინავებაში არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ ე.წ. თურქ-მესხებს რეპატრიანტის სტატუსის მიღების პროცედურები გაუმარტივდებათ.

როგორც ცნობილია, ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობასა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საქმიანობისთვის დადანაშაულებული მაჰმადიანი მესხები 1944 წლიდან ყაზახეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, კრასნოდარში, უკრაინაში, ამერიკასა და რუსეთში არიან გაბნეულნი. აქედან ყველაზე მეტი, დაახლოებით 80 000 ადამიანი აზერბაიჯანში ცხოვრობს. თუმცა სახელწოდება „თურქი-მესხი" მიუღებელია იმ მესხებისთვის, რომლებიც თავიანთ თავს ქრისტიანული საქართველოს შთამომავლებად თვლიან. გარდა ამისა, მეცნიერებიც აცხადებენ, რომ ტერმინი „თურქი-მესხი" არასწორია და ისინი არიან დეპორტირებული მესხები, ან კიდევ მუსლიმანი მესხები, რადგან შეუძლებელია, ადამიანი ერთდროულად იყოს ორი ეროვნების ან ეთნიკური იდენტობის მქონე.

დეპორტირებული მესხებისთვის რეპატრიანტის სტატუსის პროცედურის გამარტივება ხომ არ ნიშნავს, რომ საქართველოს გაცილებით უფრო მეტი მაჰმადიანი მესხის მიღება მოუწევს და რა პრობლემას გამოიწვევს ეს ეროვნებათშორისი ურთიერთობის თვალსაზრისით, რადგან ჯავახეთში მცხოვრები მოსახლეობა ეწინააღმდეგება მათ მიღებას? განსაკუთრებით, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, ასაკოვან ხალხს არ სურს რეპატრიანტების დაბრუნება.

ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი** მიიჩნევს, რომ, თავისთავად, ეს საკითხი მაშინ წამოიწევს ხოლმე, როგორც კი რუსეთს მოუნდება რაიმე დამატებითი ზეწოლის მოხდენა საქართველოზე. ამას რუსეთს შესანიშნავად უსრულებს საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი, რომელიც ყველაფრის განურჩევლად, 3 ათას თურქს აძლევს საქართველოს მოქალაქეობას.



ექსპერტის თქმით, თუ მაინცდამაინც ჭკუა უნდა გვასწავლოს დასავლეთმა, მაშინ შეგვიძლია, ჩვენც შევთავაზოთ ჩვენს დასავლელ მეგობრებს, ასევე, ვაშინგტონის თეთრ სახლს (რომელთა წყალობითაც დიდი გამოცდილება მივიღეთ კოჰაბიტაციაში), რომ ნუ ეწყინებათ და, ერთმანეთთან კოჰაბიტაცია მოახდინონ დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა და მთავრობის გარეშე ნუ დატოვებენ სახელმწიფოს.

**„5 და 9 ათასი მაჰმადიანი მესხის ნაცვლად, იქნებ, რაღაც გრაფიკი შეგვედგინა და ჯერ 90 დეპორტირებული მესხი დაგვეკმაყოფილებინა, რადგან 9 ათასზე, ალბათ, ათჯერ მეტი, საკუთარი დევნილი გვყავს. ისინი 20 წლის განმავლობაში ყოველ ღამეს შიშით იძინებენ, რათა არ გაასახლონ იქიდანაც, სადაც მათ არცთუ კეთილმოწყობილი პირობები აქვთ"**, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

დემოგრაფ **ავთანდილ სულაბერიძის** თქმით, საინტერესოა დაბრუნების მსურველი დეპორტირებული მესხების ასაკობრივი სტრუქტურა. თუკი ისინი ახალგაზრდულ, ანუ რეპროდუქციულ ასაკში აპირებენ საქართველოში დაბრუნებას, ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად, გაზრდის მათი შობადობის რაოდენობას. ხოლო, თუ დაბერებული სტრუქტურის მქონე პიროვნებების მიღებას ვაპირებთ, მაშინ მათი საპენსიო უზრუნველყოფა აუცილებელი იქნება. თუმცა იმის გათვალისწინებით, თუ ისინი რუსეთის მოქალაქეები არიან, შესაძლოა, რუსეთიდანაც მიიღონ პენსია.

დემოგრაფის თქმით, თავის დროზე, 90-იან წლებში, იგი პირადად გაეცნო დეპორტირებულ მესხებს მინგეჩაურსა და ბაქოში და დარწმუნდა, რომ მათ შენარჩუნებული აქვთ ქართული თვისებები. ამდენად, ისინი პროქართულ მოსახლეობას განეკუთვნებიან და ძალზე მშრომელი ხალხია. თუმცა არის პროთურქული მოსახლეობაც. ამიტომ გააჩნია, დეპორტირებულ მესხებს სად ჩაასახლებენ და რამდენად კომპაქტური იქნება ეს ჩასახლება. მით უმეტეს, რომ ამჟამად მთელი ამბავია ატეხილი მეჩეთების მშენებლობის თაობაზე. ამან კი შეიძლება, კიდევ უფრო გაართულოს ადგილობრივ მოსახლეობასთან ადაპტაცია.

მისი თქმით, არ შეიძლება განუსაზღვრელად დიდი რაოდენობის რეპატრიანტების ჩამოსახლება, რაც საქართველოს დიდი ქალაქის მოსახლეობის ტოლფასი იქნება. მით უფრო, ჩვენ მიგრაციის შესახებ ნორმალური კანონიც არ გვაქვს და არ დაგვიწესებია კვოტა, წელიწადში რამდენის მიღება შეგვიძლია. ეს მაშინ, როცა ამერიკას და სხვა ქვეყნებს ასეთი კვოტა აქვთ.

**დემოგრაფი ანზორ თოთაძე მიიჩნევს, რომ 1944 წელს საქართველოდან გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი სისხლით, გენით ქართველი იყო, მაგრამ ზოგიერთ მათგანს უკვე დაკარგული ჰქონდა ქართული თვითშეგნება. ამიტომ მათი დაბრუნება ძალიან რთულია, რადგან დღეს საქართველოში ძალიან ცუდი ვითარებაა და ურთიერთობები გართულებულია.**

**მანანა ნოზაძე**

# შრომითი მიგრაცია და საქართველო

**ამ ცოტა ხნის წინათ მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ანგარიში მიგრაციისა და განვითარების შესახებ, რომლის თანახმადაც, 2013 წელს განვითარებად ქვეყნებში ფულადი გზავნილების საერთო მოცულობა 414 მილიარდ ამერიკულ დოლარს მიაღწევს, ეს კი 2012 წლის მაჩვენებლებს 6, 3 პროცენტით აღემატება. ფულადი გზავნილების მთავარ მიმღებთა შორის არიან ინდოეთი და ჩინეთი. ისინი, მთლიანობაში, პროგნოზირებული თანხიდან 131 მილიარდ დოლარს მიიღებენ. გასულ წელს განვითარებული ქვეყნებიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის, არაოფიციალური მონაცემებით, მილიარდ ლარზე მეტი თანხა გადმოირიცხა. ასევე არაოფიციალური მონაცემებით, მილიონს აღწევს ბოლო წლებში საქართველოდან შრომითი მიგრაციის მიზნით გასული მოქალაქეების რაოდენობა.**

ჩვენი რესპონდენტის, 26 წლის დავითის დედა საბერძნეთში იმყოფება. რთული ფინანსური პრობლემების მოგვარების მიზნით ოჯახი მან 7 წლის წინათ დატოვა.

**„სანამ გადალახავდა ენის ბარიერს და ადგილობრივ სიტუაციაში გაერკვეოდა, ხელფასი ჰქონდა 700 ევრომდე. თვიდან თვემდე, ჩემი ხელფასის მიუხედავად, გვყოფნიდა როგორც საშუალოზე ოდნავ დაბალ ოჯახს შეეფერება საქართველოში. სამი-ოთხი წლის შემდეგ, როცა შეისწავლა ბერძნული ენა, გაუზარდეს ხელფასი 1000 ევრომდე და მიეცა საშუალება, გამოეგზავნა ფული იმდენი, რომ გვყოფნოდა ჩვენ საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად და ოჯახის შესანახად".**

დავითს, რომელიც კერძო დაცვის თანამშრომელია, ჰყავს ცოლ-შვილი და, დედის დახმარების მიუხედავად, მაინც უჭირს ოჯახის სრულფასოვნად უზრუნველყოფა. მის მდგომარეობაშია მისი ბევრი ისეთი თანამემამულე, რომელთა ოჯახის წევრები და ნათესავები სწორედ იმ მიზნით იმყოფებიან უცხოეთში, რომ სამშობლოში დარჩენილებს ფინანსური დახმარება გაუწიონ.

მათი რაოდენობის დადგენა, საქსტატის გენერალური დირექტორის ზაზა ჭელიძის თანახმად, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია.

მომავალ წელს, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შემდეგ, გამოიკვეთება.

**თუმცა იმის მიუხედავად, რამდენია მიგრაციის პროცენტული მაჩვენებელი საქართველოში, ინვესტიცია, რომელსაც მიგრანტების ოჯახები ღებულობენ, უმნიშვნელო არ არის. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, — მაგალითად, მიმდინარე წლის აგვისტოს მონაცემებით, — რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში გადმორიცხულია 73 მილიონამდე ლარი, საბერძნეთიდან — 16 მილიონამდე, ხოლო იტალიიდან — 9 მილიონ ნახევარი ლარი. შესაბამისად, პირობითად შეიძლება ითქვას, რომ სამუშაოს მაძიებელი მოქალაქეების ძირითადი ნაწილი საქართველოდან სამ ქვეყანაშია წასული — რუსეთში, საბერძნეთსა და იტალიაში. მათ მოსდევს ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, უკრაინა და ესპანეთი.**

ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" პროგრამის კოორდინატორის ვანო ჩხიკვაძის თანახმად, შარშან უცხოეთიდან საქართველოში გადმორიცხული თანხის მოცულობამ დაახლოებით მილიარდ 200 მილიონი ლარი შეადგინა. ეს, მისი შეფასებით, არის თანხა, რომელსაც მიმღებები ყოველდღიური საჭიროებისთვის იყენებენ და არ არის საკმარისი იმისთვის, რომ თუნდაც მცირე ბიზნესი წამოიწყონ. თუმცა, ამის მიუხედავად, ეს თანხა ეკონომიკისთვის მაინც ძალიან მნიშვნელოვანია:

მსოფლიო ბანკის კვლევაში კი, რომელიც შრომითი მიგრაციის ფონზე ფულადი გზავნილების ზრდის ტენდენციას ასახავს, საქართველო ნახსენები არ არის. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა სივრცეს, ამ თვალსაზრისით მაღალი მაჩვენებლების ქვეყნები ყირგიზეთი და ტაჯიკეთი არიან.



**ნონა მჭედლიშვილი,**
**რადიო „თავისუფლება"**

## დედამიწის ზურგზე

**მილიარდერი კლაივ პალმერი, რომელიც აპირებს „ტიტანიკის" ზუსტი ასლის აგებას, მის ბორტზე გადაიღებს ახალ ფილმს**

როგორც ვარაუდობენ, ფილმის გადაღება მოხდება 2016 წელს ხომალდის ჩინეთის შანხაიდან მოგზაურობის დროს, სადაც შენდება „ტიტანიკი II", ბრიტანეთის პორტ საუტჰემპტონისკენ. კლაივ პალმერის ჩანაფიქრით, სურათის პრემიერა დაემთხვევა ხომალდის პირველ კომერციულ რეისს საუტჰემპტონიდან ნიუ-იორკისკენ 2017 წელს.

* * *

**გამოაქვეყნეს არგენტინის მატარებლის ავარიის ვიდეოჩანაწერი, რომელმაც ვაგზალი გაგლიჯა**

გასულ შაბათს ბუენოს-აირესის ვაგზალზე მოხდა სერიოზული საგანგებო შემთხვევა: მატარებელმა ვერ შეძლო დამუხრუჭება, გაანგრია გალავანი და შეიჭრა ვაგზლის შენობაში. მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ დაახლოებით 100 კაცი დაზარალდა.

* * *

**იაპონელებმა გამოსცადეს ძრავი, რომლის დახმარებითაც აპირებენ ასტეროიდიდან გრუნტის მოპოვებას**

„ჩვენ შევძელით რამდენიმე პრობლემის გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებულია მოწყობილობის დამუშავებასთან. გამოცდის დროს ჭურვი მოხვდა ზუსტად მიზანში და მოსალოდნელი სიჩქარით", აღნიშნეს იაპონიის აეროკოსმეტიკური კვლევების სააგენტოში.

* * *

**ტალინში არჩევნებზე პირველ სამეულში შევიდა რუსეთის თხოვნით ინტერნეტით ძებნილი კროსი**

კროსმა მოიპოვა გამარჯვება წინასწარი ინტერნეტ-კენჭისყრის დროს, მაგრამ შემდეგ, ხმების დათვლისას, დაკარგა თავისი უპირატესობა. მოქმედმა მერმა სავისაარმა მოუგო მას თითქმის ხუთჯერ მეტი უპირატესობით. მიუხედავად ამისა, კროსმა უკვე განაცხადა განზრახვაზე კენჭი იყაროს პარლამენტში მომავალ არჩევნებში.

* * *

**პარიზის მეოთხე ოლქის მერმა დეპარდიეს სთხოვა, დაიცვას გეები, შეახსენოს პუტინს „ჰომოეროტიკული სახე"**

„ყველამ იცის, რომ თქვენ გიყვართ რუსეთი და თქვენ რჩევებს ასრულებს პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. ამიტომ გწერთ და გთხოვთ გახდეთ ჩვენი ადვოკატი და დამცველი", — ასე იწყებს თავის მიმართვას კრისტოფ ჟირარი. საფრანგეთის დედაქალაქის მეოთხე ოლქი ცნობილია აგრეთვე, როგორც გეიკლუბების მაღალი კონცენტრაციის ადგილი.

* * *

**ტიმოშენკოს შეუძლია, უნებლიეთ დაიცვას პუტინი „გეოპოლიტიკური დამარცხებისგან"**

ერთი წლის წინათ ევროსაბჭომ მოსთხოვა კიევს „ხელშესახები შედეგები" სამ სფეროში — საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმაში, შერჩევითი სამართალდაცვის პრაქტიკასთან ბრძოლაში, აგრეთვე რეფორმების პროგრამის განხორციელებაში. მოგვიანებით ჩამოყალიბდა სია თერთმეტი კრიტერიუმისგან, მათ შორის — ექსპრემიერის პრობლემის გადაწყვეტაცაა. პირობების შეუსრულებლობის გარეშე შეთანხმებას ასოციაციის შესახებ ხელი არ მოეწერებაო.

* * *

**აშშ-ში დააპატიმრეს პარაგვაის პრეზიდენტის უფროსი ვაჟიშვილი აგრესიული ქცევისთვის**

29 წლის ხუან პაბლო კარტესის გასათავისუფლებლად ითხოვენ გირაოს 1500 დოლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ივნისში ურუგვაიში დააპატიმრეს პარაგვაის პრეზიდენტის ბიძა. მას ბრალს სდებენ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში.

### ნობელიანტები — 2013



# „ჩვენი ჩეხოვიაო“...

**შვედეთის სამეფო აკადემიამ დაასახელა ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატი — ეს გახლავთ კანადელი მწერალი ქალი ელის მუნრო, რომელმაც სახელი მოიხვეჭა, როგორც მოთხრობების ავტორმა. ტრადიციულად ნობელის კომიტეტი იშვიათად აძლევს უპირატესობას ამ ჟანრს, თუმცა წლეულს ეს ტრადიცია დაირღვა. ამგვარად, კანადელი წარმოდგა მე-13 ქალად, რომელსაც მიეკუთვნა ესოდენ პრესტიჟული ლიტერატურული პრემია. ბოლოს 2009-ში იყო, როცა ქალი-ლაურეატი გერტა მიულერი გახდა (გერმანია).**

„თანამედროვე მოთხრობის ოსტატს“ — ასეთია ოფიციალური ფორმულირება ჯილდოს გადაცემისა. მუნრო პირველი კანადელი მწერალია, ვინც „ნობელურა“ მოიპოვა. მისი მშობლიური ენა ინგლისურია. წინა ჯერზე ინგლისურენოვან მწერალს პრემია 2007 წელს მიენიჭა (ბრიტანელ ქალბატონ დორის ლესინგს).

მუნროს აქტივშია გენერალ-გუბერნატორის სამი კანადური პრემია ლიტერატურის დარგში და 2009-ში მოპოვებული ფრიად პრესტიჟული ჯილდო — საერთაშორისო „ბუკერი“ (გენერალ-გუბერნატორის პრემიაც ასეთია — კანადის ყველაზე მაღალ ლიტერატურულ ჯილდოდ ითლება).

ქალბატონი ელისი 1931 წელს დაიბადა ონტარიოში, ფერმერების ოჯახში. წერა მოზარდობის ასაკში დაიწყო და პირველი მოთხრობა „აჩრდილის განზომილებანი“ 1950-ში გამოაქვეყნა უნივერსიტეტში სწავლის დროს, როცა ოფიციანტობით ირჩენდა თავს. შემდეგ, ქმართან გაყრილმა, მტკიცედ გადაწყვიტა მწერლობა უკვე დასავლეთ ონტარიოს უნივერსიტეტში ყოფნისას და პირველივე კრებულით — „ბედნიერ აჩრდილთა ცეკვა“ დაიმსახურა გენერალ-გუბერნატორის პირველი პრემია.

იმისი მრავალი ნაწარმოების მოქმედების ადგილი ონტარიოში გურონის საგრაფოა. მწერალი ქალის პროზა ცხოვრების არაცალსახობას გვიჩვენებს — ერთდროულად ირონიულიცაა და სერიოზულიც. არაერთი კრიტიკოსის აზრით, მუნროს მოთხრობები ხშირადაა რომანების ემოციური თუ ლიტერატურული სიღრმის მატარებელი. მისი შემოქმედების ყველაზე გავრცელებული დახასიათება ინგლისურენოვან სამყაროში ორსიტყვიანია — „ჩვენი ჩეხოვი“ (ეს შეფასება ნიუ-იორკელ მწერალ ქალს სინტია ოზიკს ეკუთვნის).

საგულისხმოა, რომ მუნროს, ისე როგორც ჩეხოვს, არც ერთი რომანი არ დაუწერია, თუმცა კრიტიკოსებს არაერთხელ შეუნიშნავთ, რომ მწერალი ქალის მოთხრობები სიღრმით არ ჩამორჩებიან რომანებს. იმისი ბიბლიოგრაფია შედგება კრებულებად გაერთიანებული მოთხრობებისგან, რომლებსაც ზოგიერთი მკვლევარი სწორედ ჩეხოვის ნაწარმოებებს ადარებს. ამ კრებულების რიცხვში შედის „ნეტა ვინ ბრძანდები ასეთი“ (1978), „სიყვარულის პროგრესი“ (1986), „სიყვარული კარგი ქალისა“ (1998), „გაქცეული“ (2004).

ჩრდილოეთ ონტარიო, პატარა ქალაქები დიდ მდინარეებზე და იქ მცხოვრები პატარა ადამიანები დიდი გრძნობებით — ესაა მუნროს მოთხრობების სამყარო. მასზე უკეთესად არავის არ გაურჩევია რომანტიკული სიყვარულის მითი — შენიშნავს ცნობილი კრიტიკოსი პეტერ ეგლუნდი. რუსი გამომცემელი და რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ორგანიზატორი ალექსანდრე გავრილოვი ამბობს, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც ლიტერატურაში ნობელის პრემია გაიცემა არ ლიტერატურული ოსტატობის აბსოლუტურ განზომილებაში პრიორიტეტის პრინციპით, არამედ ზოგიერთი პოლიტიკური გათვლიდან გამომდინარე. ახლა რუსეთელი მწერლის დიმიტრი ბიკოვის კომენტარსაც მოვუსმინოთ:

— სიმპტომატურია, რომ დიდი ხნის სიგრძეზე პირველადაა დაჯილდოებული მოკლე ფორმის ოსტატი. ელის მუნრო ნოველისტია, მთხრობელია, იმისი მოთხრობების მაქსიმალური ზომა 20 ან ცოტა მეტი გვერდია. ეს ძალიან კარგია, იმიტომ, რომ კაცობრიობამ მართლაც დაიწყო უფრო სწრაფად ფიქრი. საერთოდაც, მოკლე ფორმის ჟანრი ყოველთვის უფრო რთულია. იმისი მოთხრობები ძალიან წააგავს სიზმრებს, კარგი სიზმარი კი ძალიან ძნელი გასაკეთებელია. კარგია, რომ ეს ფაბულური პროზაა, რომ ეს რაღაც ამორფული ტექსტები კი არა, სიუჟეტური ტექსტებია და ყოველთვის დინამიკური. მუნრო რუსულ ენაზე ცოტაა ნათარგმნი. მე პირადად მასზე წარმოდგენა მაქვს ორი-სამი რამით, მაგრამ ისინი გაკეთებულია ერთობ ხისტად და კარგად.

...ბოლო წლებში მუნრო არაერთგზის იყო წამოყენებული ლიტერატურაში ნობელის პრემიაზე და ბუკმეკერებთან ფავორიტად გადიოდა 2013 წელს. დაჯილდოების დღეს (10 ოქტომბერს) აბსოლუტურ ფავორიტად იქნა ბელორუსელი მწერალი ქალი სვეტლანა ალექსიევიჩი; რეიტინგში ელის მუნრო მეოთხე ადგილს იკავებდა. ბელორუსი კალმოსანი ცნობილია არა მხოლოდ ლიტერატურული მოღვაწეობით — „ომს ქალის სახე როდი აქვს“ (1985), „თუთიის ბიჭები“ (1991), „სიკვდილით მოჯადოებულნი“ (1993-1994), „ჩერნობილის ლოცვა“, არამედ საზოგადოებრივითაც. 2007 წელს ბელორუსიიდან მოვიდა ცნობები, რომ მისი ნაწარმოებები ამოიღეს შესასწავლ და კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სიებიდან იმ ცდების ფარგლებში, რომ „მინიმიზებულ იქნას ოპოზიციურად განწყობილი მწერლების ნაწარმოებთა გამოყენება“. ბოლო წლებში სვეტლანა ალექსიევიჩი ევროპაში ცხოვრობს.

ფავორიტთა შორის აღმოჩნდა ამერიკელი მწერალი ქალიც ჯოის კეროლ ოუტსი, აშშ-ში ერთ-ერთი წამყვანი რომანისტი. ეგეც კია, რომ „ნობელურ“ ფავორიტთა რიცხვში ის ბოლო რამდენიმე ათეული წელია, რაც გამოდის... არც იმათი პროგნოზები გამართლდა, ვინც 2013-ში ლიტერატურაში ნობელის პრემიის მიღებაზე პრეტენდენტად საკულტო იაპონელს ხარუკი მარუკამის მიიჩნევდა. ყოველ შემთხვევაში, ბუკმეკერთა სიებში მკვიდრად იჯდა რომანების — „ნორვეგიული ტყე“, „1Q84“, და „კაფკა პლაჟზე“ ავტორის სახელი.

სხვა ლიტერატორთა შორის, რომლებიც ღირსნი იყვნენ 2013 წლის ნობელის პრემიისა, პროგნოზიორები ასახელებდნენ ამერიკელ (აშშ) მწერლებს თომას პინჩონსა და ფილიპ როტს. გაისმოდა ისეთი პოეტების სახელებიც, როგორებიცაა კო უნი (სამხრეთ კორეა), ადონისი (სირია), ნგუგი ვა ტიონგო (კენია) და სხვა.

...კიდევ ერთხელ მივცეთ სიტყვა ზემოხსენებულ ალექსანდრე გავრილოვს: „ელის მუნრო გაცილებით უფრო საინტერესო ადამიანია, ვიდრე იმ ლაურეატების უმეტესობა, რომლებიც ბოლო წლებში გვინახვს. მე შევხვდი მას ერთხელ კანადაში, წიგნის ბაზრობაზე: ეს ისეთი კლასიკური ბერიქალია, როგორსაც ჩვენ წარმოვიდგენთ, როცა ამ სიტყვას წარმოვთქვამთ — თხელ-თხელი, სუსტი, ჭაღარა გრუზათმიანი. ყველაზე მეტად კი იმან განმაცვიფრა, თუ როგორ სითბოს ასხივებდა, როცა შემოიდოდა დარბაზში, სადაც ყველა იცნობდა სახეზე. ელის მუნრო წარმოადგენს კანადას არა როგორც სახელმწიფოს, არამედ როგორც მკითხველთა გაერთიანებას. ყოველმა კანადელმა იცის, რომ მის ქვეყანაში ცხოვრობს მოთხრობების დიდი ავტორი, რომელიც პოულობს საჭირო სიტყვებს ყველაზე სათუთი განცდებისათვის“.

...ამ „კლასიკურმა ბერიქალმა“, 82 წლის ელის მუნრომ 2013 წლის ივლისში განაცხადა, რომ დაასრულა ლიტერატურული კარიერა. 2012 წლის შემოდგომაზე გამოსული მოთხრობების კრებული „ძვირფასი სიცოცხლე“ გახდა იმისი უკანასკნელი წიგნი.

...ლიტერატურაში ნობელის პრემია 1901 წლიდანვე ენიჭება. მის ლაურეატებს შორის არიან გერმან ჰესი, მორის მეტერლინკი, ერნესტ ჰემინგუეი, თომას მანი, ბერნარდ შოუ, აგრეთვე რუსულენოვანი ავტორები ივანე ბუნინი, ბორის პასტერნაკი, იოსებ ბროდსკი, მიხეილ შოლოხოვი, ალექსანდრე სოლჟენიცინი.

წლეულს შვედეთის აკადემიამ საუკეთესო მწერალი 195 კანდიდატურიდან აირჩია, 48 მათგანი პირველად იყო ნომინირებული.

**მინაწერი: „საერთაშორისო ბუკერის“ მესამე ლაურეატი რომ გახდა 2009-ში ელის მუნრო, ჯილდოა, რომელიც გადაეცემა მხოლოდ ბრიტანეთის თანამეგობრობის მწერალს ლიტერატურის წინაშე დამსახურებათა ერთობლიობისათვის; როგორც ნობელიანტი, მხცოვანი მწერალი 1,2 მილიონ დოლარს მიიღებს...**

**ნათია თამარაშვილი,**
**თამაზ ებანოიძე**

### ალიან-ჩალიანი

# გიორგი ბარამიძე ზურაბ ჟვანიას მკვლელობის გაფორმებაში მონაწილეობდა



ამის შესახებ გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ძმა გოგლა ჟვანია აცხადებს.

როგორც მიცემულ ინტერვიუში გოგლა ჟვანია აღნიშნავს, შეკრებილი იყო რამდენიმე ადამიანი, მათ შორის სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი, ბარამიძე და მსჯელობდნენ, რა ნივთები მიეტანათ იქ და სად დაელაგებინათ.

— ბარამიძე ამ საქმეში მეორეხარისხოვანი კი არა, მეათეხარისხოვანიც კი არ არის. არც მის ინტელექტუალურ და გონებრივ შესაძლებლობებზე არის ვინმე მაღალი აზრის. ვფიქრობ, ზურაბ ჟვანიას საქმეში სხვა დეტალები უფრო მნიშვნელოვანია. ჯერჯერობით ვერ ვილაპარაკებ იმაზე მეტს, რასაც გამოძიება ამბობს, რადგან დეტალების დაზუსტებამ შესაძლოა, გამოძიებას ავნოს, — აცხადებს ზურაბ ჟვანიას ძმა. მისივე თქმით, ოჯახი ზურაბ ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაციას დათანხმდება, თუ ეს გამოძიებისთვის საჭირო გახდება.

— პროკურატურა აცხადებს, რომ გარდაცვალების სხვა ვერსიას განიხილავს. ე.ი. ეს არ არის უბედური შემთხვევა. ამ განცხადებას საფუძვლად უდევს ახალი მასალები და მტკიცებულებები. ეფ-ბი-აის დოკუმენტში ყველაფერი ისე არ წერია, როგორც სააკაშვილს უნდა. მეტიც, იქ დაზუსტებულია, რომ ზურასა და რაულ უსუპოვის სიკვდილის მიზეზი გამათბობელი ვერ გახდებოდა, რადგან ის აბსოლუტურად გამართული იყო. სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის რა დანაშაული მიუძღვის. სულ ცოტა აქ ორი სახის დანაშაულზე მაინც არის საუბარი. პირველი, მან მკვლელებს ხელი დააფარა და მეორე, რაზეც ვითომ ახლა დელიკატურად მიუთითებს, აქამდე მისი სპეცსამსახური ავრცელებდა ზურაზე ბინძურ ჭორებს, — აცხადებს გოგლა ჟვანია.

გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ძმის ამ განცხადებაზე გიორგი ბარამიძე კომენტარს აღარ აკეთებს.

— ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე არაერთი კომენტარი გავაკეთე და აღარ ვაპირებ გამეორებას. ახლა მხოლოდ პროკურატურას მივმართავ. მორჩეს ლაყბობას და თუ რაიმე ფაქტები გააჩნია, გამოაქვეყნოს. ჩემთვის გაურკვეველია ისიც, თუ რატომ წამოწიეს ეს თემა მაინცდამაინც არჩევნების წინ, როცა პროკურატურა გვპირდებოდა, რომ საქმე ძალიან მალე გაიხსნებოდა, სად იყვნენ აქამდე?! — აცხადებს ბარამიძე.

გოგლა ჟვანიამ სკანდალური განცხადება რამდენიმე დღის წინაც გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ინსცენირება მიხეილ სააკაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, გიორგი ბარამიძის, ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის მიერ განხორციელდა. მისივე თქმით, სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი, სულ ცოტა, ხელს აფარებდნენ ზურაბ ჟვანიას მკვლელებს.

ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებას პრეზიდენტი გამოეხმაურა, რომელიც აცხადებს, რომ ჟვანიას გარდაცვალება უბედური შემთხვევა იყო. როგორც მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, ზურაბ ჟვანია მისი უახლოესი მეგობარი იყო.

დასკვნა. ოჯახი ამ დასკვნას იცნობს. ჩვენ ეს დასკვნა არ გამოვაქვეყნეთ გასაგები მიზეზების გამო, იმიტომ, რომ საქმე ეხება ადამიანის ბევრ და ძალიან ღრმა ისეთ დეტალს. ჩემთვის ზურას სახელი იყო წმიდათაწმიდა. თუ ვინმესთვის ეს არ არის ხელშეუხებელი, მათ შორის მისი ოჯახის წევრისთვის, მის სინდისზე იყოს. მე ძალიან მიყვარდა ზურა ჟვანია და მისი რეპუტაცია, სახელი და ხსოვნა არის წმიდათაწმიდა. საქართველო პატარა ქვეყანაა, ყველამ ყველაფერი იცის და ზღაპრები მოუყვნენ ერთმანეთს, — განაცხადა სააკაშვილმა.

**„კვირის პალიტრა“**



## ჭიდაობა



# საკანდელიძემ ოქროს წერტილი დასვა

**დაღესტნის ქალაქ ხასავიურტში გათამაშებული საკონტინენტთაშორისო თასი საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა სამი მედლით დაასრულა. ბექა ბუჯიაშვილის (55 კგ) ოქროსა და ლევან ქელეხსაშვილის (66 კგ) ვერცხლს, ოქროს მედალი ტურნირის მეორე დღეს გიორგი საკანდელიძემ (120 კგ) მიამატა. იგი ზედიზედ მეორედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.**

ქართველმა მძიმეწონოსანმა ფინალის გზაზე რუსეთელი აზამატ კიშიევი და აზერბაიჯანის ნაკრების წევრი ასლან ძებისოვი ჩამოიშორა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი დაღესტნელ ასლანბეკ ალიევს აჯობა.

ტურნირის მეორე დღეს ხალიჩაზე მურთაზ კვესაძე, ამირან ყაზარაშვილი (ორივე 60 კგ), გიორგი სანოძე, დავით ტლაშაძე, ჯუმბერ ყველაშვილი (სამივე 74 კგ) და ზურაბ ახობაძეც (96 კგ) გავიდნენ. მათგან საპრიზო სამეულს ყველაზე მეტად ახობაძე მიუახლოვდა — რეპეშაჟის ფინალში დამარცხდა და საბოლოოდ მე-5 ადგილს დასჯერდა.

**ბექან დოლიძე**

## კალათბურთი

# ეს ის ლიგა აღარაა

**საქართველოს XXIII ეროვნული ჩემპიონატი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონისა და თასის მფლობელის შსს აკადემიის გუნდისა და სუპერლიგაში რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული „მაკაბის“ მძაფრი ბრძოლით გაიხსნა.**

ბერძენ მწვრთნელ გეორგიოს კეცელიდისთან ერთად ძალოვანები ახალი სეზონის წინ მათი შარშანდელი ტრიუმფის მთავარ შემოქმედ უცხოელ ლეგიონერებსაც დაემშვიდობნენ, რასაც ძირითადი ცენტრის ილია ლონდარიძის ტრავმაც დაემატა. ალბათ, ამ გარემოებებს უნდა მივაწეროთ, რომ ჯამლეტ და მიხეილ ხუხაშვილების შეგირდები ღირსეულად შეებნენ ფავორიტს და მათთვის ბედს რომ გადმოეხედა, იქნებ სენსაციაც მოეხდინათ —83:87.

შეხვედრის გმირმა გიორგი ფერიაშვილმა 27 ქულა მოაგროვა, თუმცა, არანაკლებ ქებას რევაზაშვილების დინასტიის წარმომადგენლები ლევან და 16 წლის მაიზერი იმსახურებენ. როგორც დამარცხებულთა თავკაცმა გვითხრა, მათი უფროსი ძმა გიორგი ოპერაციის შემდეგ სწრაფად იბრუნებს კონდიციებს და, ალბათ, მალე შეუერთდება პარტნიორებს.

**დანარჩენი შედეგები:** „ოლიმპი“ — „ბათუმი“ 86:105 (ამერიკულმა ტრიომ ზღვისპირელებს 83 ქულა შესძინა), „სოხუმი“ — „ქუთაისი“ 57:81, „არმია“ — „რუსთავი“ 76:50. ისვენებდა „დინამო“.

**შემდეგი ტური:** „ბათუმი“ — „არმია“, „ქუთაისი“ — „რუსთავი“ (25 ოქტომბერი), „დინამო“ — „სოხუმი“, „ოლიმპი“ — „მაკაბი“ (26 ოქტომბერი).

* * *

**საერთაშორისო სტუდენტური ლიგის „დ“ ჯგუფის II ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა სტუ-მ. ნიკოლოზ დერიუგინის გუნდმა სპორტკომპლექს „არენაში“ როსტოვის სამხრეთის ფედერალური უნივერსიტეტის სტუდენტები დაამარცხა — 90:71.**



**ყველაზე შედეგიანები:** დიდია — 18 ქულა, ალხანაიძე — 13 ქულა, 9 მოხსნა, მათიაშვილი — 12 ქულა, 17 მოხსნა, გოგოძე — 11 ქულა (სტუ); კარპენკო — 34 ქულა, სკაპენკო — 15 ქულა, 15 მოხსნა (როსტოვი).

პოლიტექნიკოსები მორიგ შეხვედრას 27 ოქტომბერს უკრაინაში ხარკოვის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გამართავენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ჩოგბურთი

# მეორე ადგილით დაკმაყოფილდა



**როკ ჰილში (აშშ) დასრულდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი). თბილისელმა ანა ტატიშვილმა ზედიზედ სამი მეტოქის (ალექსანდრა მიულერის — აშშ, 6:1, 6:1, ადრიანა პერესის — ვენესუელა, 6:4, 6:2 და მედისონ ბრენჯლის — აშშ, 6:2, 1:6, 6:0) ძლევის შემდეგ ნახევარფინალში ამერიკელი ასია მუჰამადი დაამარცხა — 6:2, 6:3.** ამ ჩოგბურთელს ტატიშვილმა მეორედ აჯობა, პირველად 2011 წელს ლას-ვეგასის (აშშ), 50.000-იანი საერთაშორისო ტურნირის პირველ წრეში მოუგო — 2:6, 6:3, 6:2. ჩვენებურმა ოთხი წლის წინათ კოლუმბიელ მარიანა მარინო-დუკეს პრაღის (ჩეხეთი) ტურნირზე დააყრევინა ფარ-ხმალი — 6:4, 6:3. ამჯერად კი თავად დანებდა ასეთივე ანგარიშებით ორ სეტში და მე-2 ადგილს დასჯერდა.

ქართველი ჩოგბურთელი ამ კვირას ფლორენციის (აშშ) 25.000-იან ტურნირში იასპარეზებს. იაპონიაში ჰამამაცუს 25.000-იან საერთაშორისო ტურნირში გამოვა თბილისელი სოფიო შაფათავა, ხოლო ანტალიის (თურქეთი) 10.000-იან ტურნირზე მოსინჯავენ ძალებს ეკატერინე გორგოძე და სოფიო ქვაცაბაია.

**ლექსო ცინცაძე**

## ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

XXV ეროვნული ჩემპიონატი.

„დინამო“ — „ჩიხურა“ 6:1, „ტორპედო“ — „სიონი“ 1:1, „მეტალურგი“ — „მერანი“ 6:1, „დილა“ — „ბაია“ 1:1, „ცხინვალი“ — „გურია“ 0:1, „ზესტაფონი“ — „ვიტ ჯორჯია“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი.** „დინამო“ — 22, „ტორპედო“ — 19, „ჩიხურა“ — 16 ქულა.

შემდეგ ტურში დიდ ინტერესს იწვევს თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ცენტრალური მატჩი, რომელიც დედაქალაქში 26 ოქტომბერს გაიმართება და 18 საათზე დაიწყება.

* * *

**იტალია.** „რომა“ — „ნაპოლი“ 2:0, „ფიორენტინა“ — „იუვენტუსი“ 4:2, „მილანი“ — „უდინეზე“ 1:0, „ტორინო“ — „ინტერი“ 3:3.

**ესპანეთი.** „ოსასუნა“ — „ბარსელონა“ 0:0, „რეალი“ — „მალაგა“ 2:0, „ესპანიოლი“ — „ატლეტიკო“ 1:0, „ვალიადოლიდი“ — „სევილია“ 2:2.

**ინგლისი.** „მანჩესტერი“ — „საუთჰემპტონი“ 1:1, „ჩელსი“ — „კარდიფი“ 4:1, „ნიუკასლი“ — „ლივერპული“ 2:2, „ვესტ ჰემი“ — „სიტი“ 1:3, „არსენალი“ — „ნორვიჩი“ 4:1.

**გერმანია.** „ბაიერნი“ — „მაინცი“ 4:1, „ბორუსია“ — „ჰანოვერი“ 1:0, „ჰოფენჰაიმი“ — „ლევერკუზენი“ 1:2, „ჰერტა“ — „გლადბახი“ 1:0.

**გიორგი შოთაძე**



## ძალოსნობა



# ორი წლის შემდეგ ევროპა — თბილისში

**ამას წინათ ტალინში ახალგაზრდა ძალოსანთა კონტინენტის პირველობა გაიმართა. იქვე სპორტის ამ სახეობის ევროპის ფედერაციის გამგეობის სხდომაზე გადაწყდა, რომ ძალოსანთა 2015 წლის ევროპის ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს.** ამის შესახებ საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ დავით ბეჟუაშვილსა და გენერალურ მდივან რამაზ გურგენიძეს ევროპული ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰასან აკუსმა (თურქეთი) შეატყობინა. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამ შეჯიბრების თბილისში ჩატარებით ჩვენს ქვეყანაში ძალოსნობა უფრო პოპულარული გახდება, თანაც სპორტული ინვენტარის დეფიციტიც აღმოიფხვრება.

**გივი გაგუა**

## მხატვრული ტანვარჯიში

# სალომე და გაბრიელა



**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დარბაზში გასულ უქმეებზე მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა.** უფროს ასაკში პირველობა არავის დაუთმო 16 წლის სალომე ფაჟავამ (მწვრთნელები — ელისო ბედოშვილი, ლალი დოლიძე), რომელმაც წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატზე 4 ვარჯიშის შემდეგ მე-15 ადგილი დაიკავა, ევროპის ჩემპიონატზე კი მრავალჭიდში მე-16 იყო, რითაც 2014 წლის დახურული ევროპის ჩემპიონატისთვის (ივნისი, ბაქო) ადგილი დაიბევა. სალომემ სპორტის ოსტატობის პროგრამით 69,35 ქულით მოიპოვა ჩემპიონობა. მანვე ცალკეული საგნებით ვარჯიშისას ოთხი ოქრო დაიმსახურა.

ახალგაზრდებს შორის მრავალჭიდში გაბრიელა ხვედელიძე (მწვრთნელი ბელა კობალაძე) 59,95 ქულით ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მანვე ბურთითა და გურზებით ვარჯიშში გაიმარჯვა, ხოლო ლენტით და რგოლით ვიქტორია შელიამ დაიკავა პირველი ადგილები.

**ლაშა დიდია**

**სურათებზე:** სალომე ფაჟავა (ბურთით) და გაბრიელა ხვედელიძე (ლენტით).



**შაბათ-კვირის ჩანაწერები**

# წასვლა „ხარისხისნიშნიანი“ ქართველისა...



**კი, ბატონო, ხანმოთეული წავიდა, მაგრამ, მაინც სამწუხაროა დიდი მეოცესაუკუნელის, გამორჩეული მამულიშვილის, ღირსეული გვარის წარმომადგენლის, შესანიშნავი ისტორიკოსის, ეთნოგრაფის, ქართული იარაღის უბადლო სპეციალისტის, საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლის, ბატონი კოტე ჩოლოყაშვილის გარდაცვალება...**

დადიოდა იგი შუბლგახსნილი, კეთილღიმილიანი, თბილისის კოლორიტი, გამორჩეული თამადა, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა...

აი, ერთი შტრიხი მისი, ჭეშმარიტად, „ქართული“ ხასიათისა, რაც ბატონმა კოტემ ამ 6-7 წლის წინათ რუსთაველის გამზირზე ჩემთან შეხვედრისას გამოავლინა და, ეს გამოსათხოვარიც, ამჯერად, სწორედ იმ ეპიზოდის გახსენებამ დამაწერინა.

ზამთარია, რუსთაველზე შვილიშვილს ვასეირნებ – ატატებული დამყავს ანანო. ვხედავ, ბატონი კოტე ჩოლოყაშვილი გვიახლოვდება. იგი შორიდან მოსალმებას არ სჯერდება, მოდის, ხელს მართმევს, გაბადრული შეჰყურებს ზამთრის სუსხისგან ლოყებდაკვისინებულ ანანოს, ვინ არის, ნეტა, ესაო, და ჩვილს თითს უცაცუნებს ლოყაზე. შვილიშვილია-მეთქი. გაგიზარდოს ღმერთმაო. აწრიალდა, რა ვაჩუქო, ამ ანგელოზს ახლაო... მერე გულის ჯიბეში ხელი ჩაიყო, ორლარიანი ამოჰყვა, მაწვდის, უკან ვიხევ, რას შვრებით, ბატონო კოტე-მეთქი. მოდი, აქ, კაცო, აილე, ბავშვს ჩემ სახელზე სათამაშო უყიდეო, და ფულს ქურთუკის ჯიბეში მიკუჭავს.

რა ვქნა, როგორ მოვიქცე, ხმას ვერ ვიღებ, სახელოვანი ქალი გაზრდილიყოსო, და ხელის აწევით მემშვიდობება. ახლა, რომ ვფიქრობ, აბა, სხვაგვარად როგორ მოიქცეოდა, თუმცა უფულო ინტელიგენტი, მაგრამ ხელგაშლილი, პურადი ქართველი, თანაც „ხარისხისნიშნიანი“ – ჩოლოყაშვილი?!

ღმერთმა ნათელში გამყოფოთ, ბატონო კოტე!

# ტკივილითა და იმედით ნათქვამი...




**ახალი ლექსების წიგნი გამოუცია პოეტ თენგიზ სვანიძეს, „მწუხარე მელოდიები“ დაურქმევია და შიგ, მართლაც ისეთი ლექსებია მოქცეული, საქართველოს არეულდარეულ ყოფას რომ შეეფერება, – ამ ლექსებს დიდ პოეზიასთან პრეტენზია არ გააჩნია, – ამბობს „წინათქმაში“ პოეტი, – მისი დანიშნულება ამჟამად სულ სხვაა:** ნათლად რომ ვთქვა, ყველა ჩაახედოს თავის თავში, რათა ერი და ბერი ერთ მუშტად შეიკრას და ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ დღემდე მოტანილი საქართველო, ოდესღაც გადაჭიმული „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, ვიხსნათ დროთა ლაბირინთებში სამარადჟამო ჩაკარგვისაგან“.

**„მტერო, ნაადრევად ღრეობ,**
**მასკარადობ ავი ზნეთი...**
**დღეო, საქართველოს დღეო,**
**უკვდავებად ამომზევდი!“**

იმედიანად ამბობს პოეტი.

# კვლავაც შევხვდეთ ნუშის აყვავებას!..

**ჩვენ მასალებს ვათვალიერებთ, ფოტორეპორტიორი ფელიქს კრიმსკი თავის საქმეს აკეთებს – ფოტოსურათებს იღებს.**

კინორეჟისორი **ლანა ღოღობერიძე** უცხოეთის რომელიღაც კინოფესტივალიდან ახალი ჩამოსულია და შთაბეჭდილებებს მიზიარებს...

ბარე ოცდაათი წლის წინანდელია ეს ფოტო. ვერაზე, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის გადმოღმა, ყაზბეგის ქუჩაზე, ხშირად ვარ ნამყოფი ბატონი ლადო მესხიშვილისა და ქალბატონი ლანა ღოღობერიძის ბინაში. გამორჩეული პიროვნება და არქიტექტორი ლადო მესხიშვილი ქართული არქიტექტურის საკითხებზე მესაუბრებოდა, ლანა ღოღობერიძე – კინოზე, ლიტერატურაზე, მხატვრობაზე... სასტუმრო ოთახის კედლებზე გამოფენილი იყო მისი ფერწერული, გრაფიკული ნამუშევრები, წიგნის თაროები სავსე იყო სხვადასხვა სახის ლი-



ტერატურით, რომლებშიც, რა გასაკვირია, კინო და მხატვრული ლიტერატურა სჭარბობდა... „კინოსამსახურის“ მიუხედავად, მის საუბარში, მაინც ლიტერატურისადმი განუზომელი სიყვარული იგრძნობოდა, ზოგჯერ საკუთარი ლექსების სტრიქონებსაც „მიმხელდა“, ძირითადად კი, თავისი უახლოესი მეგობრების – რევაზ თაბუკაშვილის, რევაზ თვარაძის, თამაზ ჩხენკელის და სხვათა ადამიანურ, მამულიშვილურ თვისებებზე, შემოქმედებაზე საუბრობდა.

ლანა ღოღობერიძე ის ხელოვანია, ის რეჟისორია, რომელმაც არა მხოლოდ ქართველ მაყურებელს აგრძნობინა საკუთარი ნიჭის თავისთავადობა, ქართულ კინოს კი სახელ-დიდება შემატა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი პედაგოგიური მოღვაწეობა თეატრალური უნივერსიტეტის კინოფაკულტეტზე. მარტო ის რად ღირს, რომ ქალბატონმა ლანამ გულის სითბო, ზრუნვა და ამაგი არ დააკლო ჩვენს დაუვიწყარ გოდერძი ჩოხელს...




ამასობაში, აი, 85 წელიც... ხომ ნახეთ, შაბათ საღამოს, ზოგიერთებმა მაინც ტელევიზიით, დამეთანხმებით, რომ სულაც არ ეტყობა ქალბატონ ლანას ასეთი, მართლაც სერიოზული ასაკი!.. ეს ჩანდა საქართველოს კულტურის სამინისტროში შეხვედრისას, ეს ჩანდა კინოთეატრ „რუსთველის“ წინ მისი სახელობის „ვარსკვლავის“ გახსნისას. ლანა ღოღობერიძე – ხელოვანი, პოეტი, მთარგმნელი, მხატვარი, შესანატრი ინტელიგენტი, სრულიად იმსახურებს იმ სიყვარულს, რაც საერთოდ ერგო ქართველი ხალხისგან და რაც, გასული კვირის ბოლოს, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად შეფასდა.

იცოცხლეთ, ქალბატონო ლანა!.. გავაცილოთ ღვინობისთვე და კვლავაც შევხვდეთ ნუშის აყვავებას!

**ვილენ მარდალეიშვილი**

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომლის

**ნათელა ფაილოძე-თოდუას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---



მეუღლე გურამ მგელაძე, შვილები გოგი, კოკა მგელაძეები, დები ნანა, მარინე გამცემლიძეები ოჯახებით, შვილიშვილები სოფო, გურამი, ანა, ნუკა, ნატა, სანდრო, გიორგი, ანასტასია. შვილთაშვილები, რძლები ნუცა ქორელი, ნინი ხაბაზიშვილი, ლიკა ჯოლია, სიძეები უკა კილაძე, დათო ვეფხვაძე, მულიშვილი ვახტანგ სალაძე, მამიდაშვილები გურამ, მერაბ ჯაიანები ოჯახებით, დისწულები, დეიდაშვილები იუწყებიან

**ნინო გიორგის ასულ გამცემლიძე-მგელაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23 X, თბილისი, კეკელიძის 25, მე-4 სადარბაზო, მე-10 სართული, 17 საათზე. გამოსვენება 24 X, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ნინოწმინდის ეკლესიიდან (ველოტრეკის თავზე).

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კლინიკის ყოფილი თანამშრომელი, დამსახურებული ექიმი მეან-გინეკოლოგი, გამორჩეული ოჯახის დედა, უსათნოესი ქალბატონი

**ნინო (ნუნუ) გამცემლიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე დოდო ნეფარიძე-ლალიაშვილი, შვილი ირინე, სიძე კოტე სებისკვერაძე, შვილიშვილი ლუკა სებისკვერაძე და ნუნუ ლალიაშვილი, დისწული გიორგი ჭიაურელი იუწყებიან

**ბადრი გიორგის ძე ლალიაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23 X, 17 სთ. გამოსვენება 24 X, 14 სთ. მისამართი: ლიახვის ქ. №35.



---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებლის, ღირსეული პიროვნების

**ალექსანდრე კუჭუხიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ღვაწლმოსილი თანამშრომლის, ცნობილი ეთნოლოგის, პროფესორ

**კონსტანტინე ჩოლოყაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

**ინფორმაცია**

## გვექნება აფხაზური ენციკლოპედია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამტკიცდა პროგრამა, რომლის საბოლოო მიზანი აფხაზური ენციკლოპედიის შექმნაა.

როგორც თსუ-ს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორმა ზურაბ შენგელიამ განუცხადა, პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ თსუ-ს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აფხაზური ენისა და კულტურის კომისია და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტი.

ზურაბ შენგელიას განმარტებით, პირველ ეტაპზე იგეგმება თემატური ენციკლოპედიური ლექსიკონებისა და კრებულების შექმნა და გამოცემა, რომლებიც შემდგომში თავს მოიყრიან აფხაზური ენციკლოპედიის აკადემიურ გამოცემაში. მისივე თქმით, აღსანიშნავია, რომ პროგრამაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა აფხაზურმა მხარემაც.

## ინდივიდუალური გამრიცხველიანება 37 სოფელში დასრულდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ენერგო-პრო ჯორჯიადან„ აცნობეს, კომპანიის ტექნიკურმა სამსახურმა ევროპული სტანდარტების შესაბამისი ინდივიდუალური მრიცხველები კომპანიის 5 210 აბონენტს დაუმონტაჟა. აღნიშნული სამუშაოების ჩატარების მიზნით, „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ 1 302 500 ლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში გამრიცხველიანდა კასპის რაიონის სოფელი მეტეხი (973 აბონენტი), ახალციხის რაიონის სოფელი მუშხი (222 აბონენტი), ნინოწმინდის რაიონის სოფელი ოროჯალარი (216 აბონენტი), ცაგერ-ლენტეხის რაიონის სოფელი ღვირისი (143 აბონენტი) და კიდევ 33 სოფელი საქართველოს სხვა რეგიონებში.

კომპანიის ცნობით, გამრიცხველიანების პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც.

რეაბილიტაციის შედეგად უმჯობესდება ქსელის ინფრასტრუქტურა, იზრდება ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობა და მომსახურების ხარისხი.



„ენერგო-პრო ჯორჯია“ გამრიცხველიანების სამუშაოების წარმოებას განაგრძობს და 2015 წლისთვის გამრიცხველიანებული იქნება მთელი საქართველო.

**ინტერპრესი**

## დაიჯესტი

### ფაფების კონკურსი



საუკეთესო დილის საჭმელი, დიეტოლოგების აზრით, ფაფებია. საქმე ისაა, რომ მარცვლეული დიდი ოდენობით სასარგებლო ნახშირბადებს, ასევე ვიტამინებსა და მიკროელემენტებს შეიცავს. გარდა ამისა, ნებისმიერი ფაფა უჯრედანას ჩინებული წყაროა, რომელსაც ორგანიზმიდან შლაკები გამოყავს და დღის განმავლობაში მიღებული ცხიმების ათვისებას აკონტროლებს.

დიეტოლოგებმა ერთგვარი ფაფების „კონკურსი" ჩაატარეს, რომლის მიზანი მათი სარგებლიანობის დადგენა იყო. პირველ ადგილზე წიწიბურას ფაფა გავიდა, მეორეზე —შვრიის ფაფა, მესამეზე – ბრინჯის ფაფა.

შუა საუკუნეებში წიწიბურას ფაფა ღარიბთა და მდაბიოთა (პლებეების) საჭმელად იყო მიჩნეული. არისტოკრატები წიწიბურას არ მიირთმევდნენ, რადგან ბრინჯისგან განსხვავებით ის „შავ ფაფას" იძლევა, რომელიც, მათ ნაზ კუჭებს არ ეკადრებოდა.

### დედობის ინსტინქტის ძალა



თუ რაოდენ ძლიერია დედობის ინსტინქტი, ამას ბულგარეთის ქალაქ პლოვდივის სტოიან კოკანოვის კატა ვილინოკას მაგალითი მოწმობს.

ცოტა ხნის წინათ მას კნუტები წაართვეს და ახლობლებს დაურიგეს, პატრონმა კი ტყეში მელია მოკლა, რომელსაც სამი ლეკვი დარჩა. პან სტოიანმა ობლები ტყიდან შინ მიიყვანა, ვილინოკამ კი მათი გამოკვება და აღზრდა იკისრა.

### ისევ ის მიირთვით, რაც მაგიდაზეა!

ძირს დავარდნილი გემრიელი ლუკმის აღება, სულის შებერვა და მისი ჩაკბეჩა — ეს ის მოქმედებებია, რომლებსაც მრავალი ჩვენგანი მექანიკურად, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე აკეთებს. არადა, მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ იატაკიდან ლუკმის აღებასაც ტვინის მიყოლება სჭირდება.

მკვლევარებმა აიღეს მურაბაწასმული პურის ნაჭერი, მოხარშული მაკარონი, ლორი, ორცხობილა და ხილის ჩირი და მათი იატაკზე სამი, ხუთი და ათი წამით დაგდება დაიწყეს.

ბაქტერიოლოგიურმა ტესტმა აჩვენა, რომ შაქრისა და მარილის მაღალი შემცველობის მქონე საკვები (მურაბიანი ბუტერბროდი და ლორი), იატაკზე დაგდების შემდეგ საკვებად ნაკლებად სახიფათოა, მაკარონი და ხილის ჩირი კი ყველაზე დაბინძურებული აღმოჩნდნენ.



### მიწისძვრა და შედეგი

თურქეთში ახლახან მომხდარი მიწისძვრის დროს, პროვინცია ვანის ერთ-ერთი ციხიდან ორასი პატიმარი გაიქცა.



სტიქიის შემოტევის შედეგად ციხის ერთ-ერთი კედელი ჩამოიქცა და პატიმრებმაც დრო იხელთეს. თუ ორმოცდაათი მათგანი, ოჯახების მონახულების შემდგომ, ციხეში თავისი ნებით დაბრუნდა, დანარჩენების ძებნას თურქეთის პოლიცია განაგრძობს.

### საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა

ყოველ წელს ავტოსაგზაო შემთხვევებში მსოფლიოში 1,2 მილიონი კაცი იღუპება. ექსპერტების პროგნოზებით დროთა განმავლობაში პრობლემა კიდევ უფრო მეტად დამძიმდება და 2030 წლისთვის სიკვდილიანობის მიზეზთა შორის მეხუთე ადგილს დაიკავებს.



აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ევროპის რეგიონში ავტოავარიებში ყველაზე მეტი ხალხი თურქეთსა და რუსეთში იღუპება. ორგანიზაციის, ჯონ ჰოპკინსის ურივერსიტეტის, ასევე მსოფლიო ბანკისა და ბლუმბერგის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, მსოფლიოს ათ ქვეყანაში „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების „RS-10" პროგრამა" მოქმედებს. ეს ქვეყნებია ინდოეთი, კამბოჯა, თურქეთი, რუსეთი, ბრაზილია, ჩინეთი, ეგვიპტე, კენია, მექსიკა და ვიეტნამი.

### კრიმინალისტიკის სათავეებთან



რამდენი წლისაა დაქტილოსკოპია? ამ კითხვაზე პასუხი, თითქოს, კრიმინალისტიკის ყველა სახელმძღვანელოშია მითითებული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქმე მთლად ასე არ ყოფილა. სამწუხაროდ, ნაკლებად ცნობილია ის ფაქტი, რომ თითების ანაბეჭდის მიხედვით დამნაშავის ემპირიული ამოცნობა ჯერ კიდევ ძველ ჩინეთში ხდებოდა. ამის თაობაზე ყველაზე ძველი წერილობითი საბუთი ჩვენი წელთაღრიცხვის 700 წლითაა დათარიღებული, როცა ჩინეთს ტანის დინასტია მართავდა.

### ემოციები ეკრანზე

მეცნიერებმა სკანერის საშუალებით ემოციების კითხვის ხერხს მიაგნეს.

ექსპერიმენტის დროს მკვლევარებმა 85-პროცენტიანი სიზუსტით შეძლეს იმის დადგენა, თუ რა ემოციას განიცდის კაცი — სიხარულს, შიშს, ზიზღს თუ სხვას. მათი განცხადებით, მიღებულ შედეგებს ფსიქიკური აშლილობების მქონე პაციენტების მკურნალობისას გამოიყენებენ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

[illegible] გაზეთებიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

### ცხრასულიანი ოჯახი, რომელიც 9 წელია, ავტობუსში ცხოვრობს

თბილისში, ლუბლიანას ქუჩაზე არსებული კინოსტუდიის ყოფილ ავტოფარეხში ათობით მიტოვებული და ჟანგმოკიდებული სატვირთო მანქანა, ავტობუსი თუ სამარშრუტო ტაქსია. „პაზ-32" ტიპის ორ ავტობუსში, ყურაძეების ცხრასულიანი ოჯახი ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად უკვე ცხრა წელია, ცხოვრობს. ხშირად მათ დღიურ რაციონს მხოლოდ პური და კარტოფილი შეადგენს. მათ განსაკუთრებით ზამთარში უჭირთ, როდესაც რკინის კონსტრუქცია იყინება და ავტობუსში უფრო მეტად ცივა, ვიდრე გარეთ. გასათბობლად კი შეშის პატარა ღუმელს იყენებენ.

„რეზონანსი"

### „საქართველოს წინააღმდეგ შავი პიარი გორდება"

– შეშფოთებულია ექსპერტი ზაალ კასრელიშვილი, – ეს თებერვალში, ანუ ოლიმპიადის შემდეგ დაიწყება. ამ ყველაფრის წინაპირობა კი მოსკოვში მოღვაწე ამერიკელი ჟურნალისტის ალან კულისონის მიერ პანკისის ხეობასთან და საქართველოში ვაჰაბისტი მეომრების მოძრაობასთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტი იქნება. ეს არის ანტიქართული მასალა პანკისის ხეობასთან დაკავშირებით. ჩვენი ინფორმაციით, ეს ჟურნალისტი პანკისის ხეობას ალქაიდას საწვრთნელ ბაზასთან აიგივებს და გამომდინარე იქიდან, რომ პანკისის ხეობა საქართველოს ნაწილია, ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო არენაზე იმიჯი საკმაოდ შეელახება.

„ახალი თაობა"

### „აშკარაა, უპრეცედენტო, საუკუნის სასამართლო პროცესის მომსწრენი ვიქნებით"

– ფიქრობს ედუარდ შევარდნაძე თავის ინტერვიუში, – მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას ჟვანიას მკვლელობაზე საკუთარი დასკვნა უკვე დიდი ხანია, გაკეთებული აქვს, დარწმუნებული ვარ, გამოძიების საბოლოო შედეგები მაინც მეხის გავარდნასავით იქნება. ამის მომდევნო პროცესს – მკვლელობის დასჯას კი ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს... ჟვანიას მკვლელობა, ლაფანყურის სპეცოპერაცია, აგვისტოს ომი, 7 ნოემბერი, 26 მაისი – სხვა დანარჩენ დანაშაულებს რომ თავი დავანებოთ, ეს ისეთი მასშტაბის დანაშაულია, რომ აშკარაა, უპრეცედენტო, საუკუნის სასამართლო პროცესის მომსწრენი გავხდებით.

„ასავალ-დასავალი"

### კოდორის ხეობის დაკარგვის საქმე გარკვეულია?!

როგორც „კვირის პალიტრისთვის" არაოფიციალური წყაროებით გახდა ცნობილი, გამოძიებულია ყველა ის ფაქტი, რომელსაც 2008 წლის აგვისტოში კოდორის ხეობის თითქმის უბრძოლველად დაკარგვა მოჰყვა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბში რამდენიმე თვეა მუშაობს კომისია, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დეტალებს იკვლევს. კომისიის წევრები უკვე გაესაუბრნენ 600-ზე მეტ სამხედრო მოსამსახურეს იმის შესახებ, რაც აგვისტოს ომში საბრძოლო მოქმედების დროს სხვადასხვა რაიონში ხდებოდა. მიღებული ინფორმაციის ობიექტური ანალიზი კომისიას საშუალებას მისცემს, აღადგინოს რეალობას მიახლოვებული სურათი, რაც საზოგადოებას აგვისტოს ომის ობიექტურად გაანალიზებაში დაეხმარება.

„კვირის პალიტრა"

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77;
599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

შეჭირვებული მამაკაცი კონსულტაციისთვის მივიდა ენაბლუ უროლოგთან.

– რ-ა-ამ შე-შე-გა-წუ-ხა-ათ? – ეკითხება ექიმი.

– რამ და, ისევე ვშარდავ, როგორც თქვენ ლაპარაკობთ.

* * *

– სად გარბიხარ ასე თავქუდმოგლეჯილი? – ეკითხება ძმაკაცი პეტკას.



– ცოლმა დამირეკა, ლიფტში გავიჭედე, ხელოსანი კი მხოლოდ სამი საათის შემდეგ მოვაო. მეც ყველა საქმე მივაგდე და გავრბივარ...

– სწორადაც იქცევი, მაგრამ შენ რით დაეხმარები ლიფტში გაჭედილს?

– ვერც ვერაფრით! ამიტომაც კატიასთან გავრბივარ, იმისი ქმარი მივლინებაში წავიდა!

* * *

– რა არის უსაფრთხო სექსი!

–ეს ის შემთხვევაა, როცა ქმარმა ამაზე არაფერი არ იცის...

* * *

– რისთვის ჰყავს ყოველ დეპუტატს თანაშემწე?

– ვინმე ხომ უნდა იდგეს ზექსზე!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოხულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24